პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 214 (9374) | სამშაბათი, 9 სექტემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

თბილისის XXII საქალაქო პარტიული კონფერენციის მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის შესახებ (1-ლი გვერდი).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს (მესამე მოწვევის) VIII სესია (1-ლი გვერდი).

თბილისის XXII საქალაქო პარტიული კონფერენცია (მე-2 გვერდი).

ვიზრუნოთ მომავალი წლის ბარაქიანი მოსავლისათვის (მე-3 გვერდი).

რთველი ახლოვდება (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას — რატომ ჩამორჩა ფიზკულტურული მუშაობა სამხრეთ ოსეთში. მეტი ყურადღება მშრომელთა მომარაგებას (მე-3 გვერდი).

გ. ნატროშვილი — გამოჩენილი რეალისტი მწერალი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მოსკოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

# ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თბილისის XXII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები მხურვალე, ბოლშევიკურ სალამს გიძღვნიან თქვენ, პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ბრძენ მასწავლებელს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს!

თავიანთ მორიგ პარტიულ კონფერენციაზე თბილისის ბოლშევიკები მოვიდნენ ერთიან მონოლითურ რაზმად შემჭიდროებულნი, საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი.

თბილისის პარტიული კონფერენცია შეიკრიბა მასების იმ შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობის ღირსშესანიშნავ დღეებში, რომელიც გამოწვეულია პარტიის XIX ყრილობისათვის მზადებით.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომლები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას ყრილობის მოწვევის შესახებ, ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების ამ შესანიშნავი ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად.

ზედიზედ დგებიან სტახანოვურ ვახტზე თბილისის საწარმოთა კოლექტივები, აღწევენ შრომის ნაყოფიერების ახალ აღმავლობას, წარმოების შინა რეზერვების სრულად გამოყენებას. ამ დღეებში განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს მასების შემოქმედებითი ინიციატივა, რაც მიმართულია სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

თბილისის კომუნისტებმა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე დიდი პოლიტიკური აღმავლობით განიხილეს მასალები პარტიის XIX ყრილობისათვის, მხურვალედ მოიწონეს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც დასახულია ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის შესწავლისას თბილისის ბოლშევიკებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მზად არიან კიდევ უფრო აამაღლონ პარტიის წევრის მაღალი სახელწოდება.

თბილისის მშრომელები დაუღალავად მუშაობენ, აღწევენ სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის ყველა დარგის ახალ მძლავრ აღმავლობას, თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მაგრამ ჩვენი წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში შეიძლებოდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილი რომ არა, რომლის შედეგადაც დაშვებულ იქნა უხეში შეცდომები პარტიულ და სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობაში, რამაც გამოიწვია პოლიტიკური ჩავარდნა.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის ყოფილმა ხელმძღვანელობამ დაივიწყა თქვენი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ბრძნული მითითება იმის შესახებ, რომ სამეურნეო წარმატებებს ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. ნებივრდა რა უდარდელობისა და პარადული კეთილდღეობის განწყობილებებს, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელობა თვითდამშვიდებას მიეცა, მოსწყდა მასებს, ყურს არ უგდებდა მათს ხმას, ახშობდა კრიტიკას, უხეშად არღვევდა შინაპარტიულ დემოკრატიას, კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინურ-სტალინურ პრინციპებს.

სუსტად იყო გაშლილი იდეოლოგიური მუშაობა და პირველ რიგში პარტიული კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა.

მხოლოდ თქვენმა გამჭრიახობამ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, გამოამჟღავნა მთელი ეს სერიოზული პოლიტიკური შეცდომები სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში.

თქვენი ბრძნული მითითებანი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი შემობრუნების მომენტი იყო საქართველოს ყველა პარტიული ორგანიზაციის და, კერძოდ, თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. მათ კომუნისტები დარაზმეს პარტიულ და სამეურნეო მუშაობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საბრძოლველად.

XXI საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო. ეს სერიოზული გაკვეთილი იყო ქალაქის პარტიული ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს მთელი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებით და თქვენი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ბრძნული მითითებებით შეიარაღებული საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ლიკვიდაციას უშვება ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგებს და სისხლსავსე ცხოვრებას იწყებს. ყველგან ინიშნება პარტიისადმი, სამშობლოსადმი, თქვენდამი — ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი — უსაზღვროდ ერთგული ახალი კადრები. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, მუშაობას აძლიერებენ მრეწველობის, საქალაქო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ჩამორჩენილი დარგები.

ამასთან ერთად თბილისის XXII საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ გამოავლინა აღმოუფხვრელი სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენი მუშაობის გარდაქმნის საქმეში. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმიანობა ავიყვანოთ ახალი გაზრდილი ამოცანების დონეზე.

გამოხატავენ რა თავიანთ მხურვალე და ღრმა მადლობას თქვენი მამობრივი მზრუნველობის გამო, თბილისის ბოლშევიკები პირობას გაძლევენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ პარტიული მუშაობის დონის განუწყვეტლივ ამაღლების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის უფრო, გაბედულად და ფართოდ გაშლის გზით ისინი ღირსეულად შეასრულებენ ყველა თქვენს მითითებას და პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს.

ვემზადებით რა იმისათვის, რომ ღირსეულად შევეგებოთ საქართველოს კომპარტიის XV ყრილობას, პირობას გაძლევთ გავაძლიეროთ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, გავაჩაღოთ გადამწყვეტი ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის, გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური მუშაობა და კიდევ უფრო ავამაღლოთ პოლიტიკური სიფხიზლე.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ მთელ ჩვენს მუშაობას ავაგებთ იმ მაღალი მოთხოვნების საფუძველზე, რომლებსაც კომუნისტებს უყენებს პარტიის შეცვლილი წესდება, რის პროექტსაც ერთსულოვნად იწონებს ქალაქის ყველა პარტიული ორგანიზაცია, პარტიის ყველა წევრი.

იმის შეგნება, რომ აქ, ჩვენს ქალაქში, თქვენ დაიწყეთ თქვენი დიადი რევოლუციური მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, აღგვაფრთოვანებს ჩვენი სამშობლო ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, თბილისის ახალი აყვავებისათვის საბრძოლველად.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას—ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს ბელადს, მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

## სოფიას ჩავიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

**სოფია**, 7 სექტემბერი. (საქდესი). დღეს გმირი საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავის დღესასწაულზე სოფიას ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან გენერალ-პოლკოვნიკი ა. ა. გრეჩკო, საბჭოთა კავშირის ელჩი ბულგარეთში მ. ფ. ბოდროვი. საბჭოთა მთავრობის დელეგაციას საზღვარზე შეეგებნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პეკო ტაკოვი და ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლიუბენ გერასიმოვი.

სოფიის ცენტრალურ ვაგზალში საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ბულგარეთის კ. პ. ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ვილკო ჩერვენკოვი, ბულგარეთის კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობის წევრები, მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე სსრ კავშირის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვ. დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, უცხოეთის კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების დელეგაციები, რომლებიც სოფიას ჩამოვიდნენ ბულგარეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავის დღესასწაულზე დასასწრებად.

ვაგზალზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ალმებით, ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. დელეგაციების შეხვედრისას შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

## მეხუთე ხუთწლედის მშენებლობებისათვის

**კუიბიშევი**, 5 სექტემბერი. (საქდესი). პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრება ფართოდ გაჩაღდა კუიბიშევის ქარხანა „სტროემმაშინაში".

ამწყობი-ზეინკლების ამხ. მატვეევისა და კირდიაშევის ბრიგადები ერთიანად ასრულებენ დავალებას ბეტონის ქარხნების კვანძების აწყობაზე. ამ ქარხნებს ამონტაჟებენ ჟიგულევსკში, იქ, სადაც მალე დაიწყება ბეტონის ჩაყრა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის შენობის საძირკველში.

„მეტი მანქანა, მექანიზმი და მოწყობილობა მეხუთე ხუთწლედის მშენებლობებისათვის!" — ამ ლოზუნგით ჩაღდება ყრილობისწინა შეჯიბრება ქარხანაში.

საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 7 ნოემბრისათვის დაამთავროს წლიური პროგრამა.

ყ რ ი ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ვ ე დ რ ა დ

## ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა მაგალითისამებრ

როგორც დედაქალაქის, ისე რესპუბლიკის მრავალი საწარმოს კოლექტივები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის თაოსნობას საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. საწარმოთა კოლექტივები აჯამებენ განვლილი თვეების მუშაობის შედეგებს და ყრილობის სასახელოდ შეხვედრისათვის ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

**თბილისის ლუდის მე-3 ქარხნის** მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ერთხმად მოიწონეს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა წამოწყება, ჩაებნენ ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს შემდეგი ვალდებულებები: პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა შეასრულონ 107 პროცენტით, უზრუნველყონ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვება და მესამე კვარტალშიც შეინარჩუნონ „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საუკეთესო ხარისხის საწარმოს" წოდება, დაზოგონ 3 ათასი პირობითი ტონა სათბობი და 40 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, მიაღწიონ პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმითს შემცირებას ორი პროცენტით და თვითღირებულების შემცირებით სახელმწიფოს მისცენ ერთი მილიონი მანეთი მოგება.

**ბორჯომის მუშის ქარხნის** კოლექტივი ერთსულოვნად მონაწილეობს ყრილობისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში. მან იკისრა სექტემბერში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 300 ათასი ცალი ბოთლი, მნიშვნელოვანი ოდენობით დაზოგოს ნედლეული, საწვავი და ელექტროენერგია, გასწიოს ათეულ ათასობით მანეთის ეკონომია.

## მუხრანელთა სიტყვა და საქმე

**მცხეთა.** (საკ. კორ.). მუხრანის სარწყავი სისტემის კოლექტივმა ნაყოფიერად იმუშავა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, რისთვისაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია მიეკუთვნა. არხის მშენებელთა შორის გაღრმავდა მუშაობის ტემპი. ცალკეული სამშენებლო უბნები და ბრიგადები პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დადგნენ და პირნათლად ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს.

მუხრანშენის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ ყრილობის გახსნის დღისათვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულოს მესამე კვარტალის დავალება და შეინარჩუნოს მოპოვებული ჯილდო.

## მოწინავენი ჩაის კრეფაში

ქუთაისის რაიონის სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ჩაის კრეფის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. კრეფაში დაწინაურდა მეჩაიეთა მეხუთე ბრიგადა, რომელსაც ს. მორჩაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ აგვისტოს დავალება 125 პროცენტით შეასრულა. აგვისტოს გეგმა ყველაზე ადრე გაანაღდა ბრიგადის იმ რგოლმა, რომელსაც ა. სინატაშვილი ხელმძღვანელობს. კარგი მაჩვენებლები აქვთ ამ რგოლის წევრებს მ. წკეპლაძეს და თ. ტურაბელიძეს. დაწინაურდა აგრეთვე მეექვსე ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. სინატაშვილი). ამ ბრიგადის მეორე რგოლმა (მერგოლური ი. სინატაშვილი) წარმატებით გაანაღდა წლიური გეგმა და ახლა კრეფის ყოველდღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს.

სოფელ სორმონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მეჩაიეებმა გადამეტებით შეასრულეს აგვისტოს დავალება და პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გადაწყვიტეს ვადამდე გაანაღდონ წლიური გეგმაც. უხვი მოსავლის მიღებისათვის მთელი ენერგიით იბრძვის მეჩაიეთა მესამე ბრიგადა, რომელსაც ი. ხანთაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ აგვისტოს დავალება 105 პროცენტით შეასრულა.

**მ. კაკიტელაშვილი.**

## თბილისის XXII საქალაქო პარტიული კონფერენციის მიერ არჩეული საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობა

### საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრები

| | |
|---|---|
| **სტალინი ი. ბ.** | მჭედლიშვილი დ. ვ. |
| მალენკოვი გ. მ. | კეცხოველი ნ. ნ. |
| ბერია ლ. პ. | კვაჭაძე ზ. ა. |
| მგელაძე ა. ი. | გვრიტიშვილი დ. ვ. |
| კეცხოველი ზ. ნ. | კოკოლაშვილი ბ. პ. |
| ჩხუბიანიშვილი ზ. ნ. | ცქიტიშვილი გ. კ. |
| ცხოვრებაშვილი ვ. გ. | ხორავა ა. ა. |
| ბუჯიაშვილი ვ. დ. | ჯანელიძე თ. ბ. |
| მელქაძე ვ. ი. | ლოლაძე ვ. ა. |
| ბაქრაძე ვ. მ. | გელაშვილი დ. ვ. |
| ანტონოვი ა. ი. | ქუთათელაძე ტ. კ. |
| ბუჯიაშვილი კ. დ. | გოშაძე გ. ნ. |
| კოჭლავაშვილი ა. ი. | დავითაშვილი თ. ნ. |
| კოჭლამაზაშვილი ი. დ. | კაციტაძე ლ. მ. |
| ეგნატაშვილი ვ. ი. | მელაძე ა. ე. |
| გიგოშვილი ა. ა. | პანიევი ვ. კ. |
| ბალავაძე ვ. კ. | ჩხარტიშვილი ს. კ. |
| ზედგინიძე გ. პ. | ნონეშვილი ი. ე. |
| ჯავახიშვილი გ. დ. | რომანოვი ნ. ა. |
| ვარდოსანიძე გ. ვ. | ხვედელიანი ი. რ. |
| ლაშქარაშვილი თ. ვ. | კოპალიანი შ. ი. |
| თათარაშვილი შ. მ. | ტიტვინიძე შ. მ. |
| ჯიბლაძე გ. ნ. | ნინოშვილი ვ. ი. |
| ყუჯიაშვილი ი. პ. | ჯაფარიძე შ. ა. |
| წერეთელი შ. ო. | ეპიტაშვილი ვ. დ. |
| ეფიმოვი პ. ი. | მერკვილაძე ვ. ნ. |
| მილენინი გ. ფ. | მაღრაძე მ. კ. |
| მამაცაშვილი დ. გ. | ლავთაძე ე. მ. |
| ტაბატაძე დ. ბ. | რეხვიაშვილი ს. ნ. |
| კოხრეიძე შ. თ. | ნასიძე გ. პ. |
| პეტრიაშვილი ვ. ა. | მეფარიშვილი დ. მ. |
| კორძაძე ვ. მ. | ჩოგოვაძე გ. ი. |
| ჭიჭინაძე დ. ა. | ღლონტი ე. ვ. |
| ტატიშვილი გ. ა. | მჭედლიძე დ. ს. |
| კაპანაძე ქ. პ. | |

### საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატები

| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ვ. შ. | პუხოვი ა. ი. |
| კოპალიანი დ. ა. | თათარაშვილი მ. ა. |
| მიგრიაული ა. ი. | მურაშევი ა. მ. |
| მარშანია ვ. ქ. | ჯაფარიძე შ. ა. |
| გიგაური ა. ი. | ცერცვაძე გ. ბ. |
| ქუდიძე ლ. მ. | ზაქარიაძე ვ. თ. |
| სხვიტარიძე თ. ს. | სირაძე ვ. მ. |
| შენგელია ა. ს. | გოგლიძე კ. ნ. |
| ხაჩატუროვი რ. ბ. | მჭედლიძე ა. გ. |
| | შვანგირაძე ა. გ. |

### საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

| | |
|---|---|
| ელისაბედაშვილი გ. ი. | მირიანაშვილი ი. ვ. |
| სიხარულიძე გ. ვ. | ალანია ე. ვ. |
| შუშანია პ. გ. | საკაშვილი მ. გ. |
| გიორგაძე ს. ბ. | ჭკუასელი ლ. ს. |
| რიაბოვი ა. ტ. | |

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის შესახებ

1952 წლის 7 სექტემბერს გაიმართა თბილისის XXII საქალაქო პარტიული კონფერენციის მიერ არჩეული საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ვ. კ. ბალავაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე მდივნად არჩეული ამხ. **შ. მ. თათარაშვილი**, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნად — ამხ. **გ. ნ. ჯიბლაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია ამხანაგები **ვ. კ. ბალავაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. მ. თათარაშვილი, გ. ნ. ჯიბლაძე, გ. ა. ტატიშვილი, ვ. ა. პეტრიაშვილი, ე. მ. ლავთაძე**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები **შ. ი. კოპალიანი, ვ. დ. ეპიტაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ი. მგელაძემ.**

## თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს (მესამე მოწვევის) VIII სესია

1952 წლის 8 სექტემბერს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს (მესამე მოწვევის) VIII სესია.

სესიის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული დეპუტატი გ. კ. ცქიტიშვილი, მდივნად დეპუტატი ე. დ. ხელაშვილი.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

თბილისის საქალაქო საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან დეპუტატ გ. ნ. ზამბახიძის განთავისუფლების შესახებ, მისი ავადმყოფობის გამო.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი გივი დიმიტრის-ძე **ჯავახიშვილი.**

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი — განათლებით ინჟინერ-გეოლოგი, 1934 წლიდან მუშაობდა სამეურნეო ორგანოებში პასუხსაგებ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე, 1942 წლიდან 1945 წლამდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექტორის უფროსად, შემდეგ განყოფილების უფროსად. 1944 წლიდან იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე, მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თბოენერგეტიკული მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილედ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილედ, 1948 წლიდან—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილების გამგედ.

სესიის გადაწყვეტილებით მოხსნილია სამუშაოდან და გამოყვანილია აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის შემადგენლობიდან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სავაჭრო განყოფილების უფროსი ამხ. ს. ა. აბაშიძე ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების სუსტი კონტროლისა და არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის.

სესიამ ამხ. ა. ვ. ცაგურია დაამტკიცა თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგედ. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება

# თბილისის XXII საქალაქო პარტიული კონფერენცია

6-7 სექტემბერს ჩატარდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის XXII საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციის საქმიან პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხანაგები ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბუჯიაშვილი, ვ. მელქაძე, ვ. ბაქრაძე, ა. ანტონოვი, კ. ბუჯიაშვილი, ა. კოჭლავაშვილი, კ. ციმაკურიძე, ი. კოჭლამაზაშვილი, ვ. ბალავაძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ზედგინიძე, თ. ლაშქარაშვილი, გ. ჯიბლაძე და სხვები. არჩეულ იქნა აგრეთვე კონფერენციის სამანდატო კომისია და სამდივნო.

დელეგატები და კონფერენციაზე დამსწრენი აღტაცებით შეხვდნენ წინადადებას კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, რაც ოვაციაში იქცევა, კონფერენცია საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ერთხმად მტკიცდება კონფერენციის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში;
2. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. განხილვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტისა „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“;
4. განხილვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტისა „პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტი“;
5. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის II საოლქო კონფერენციის დელეგატების არჩევნები.

საანგარიშო მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. გ. ზედგინიძემ. მან აღნიშნა, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის ანგარიში მოიცავს შედარებით მცირე პერიოდს—5 თვეს, მაგრამ ეს პერიოდი აღსავსეა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი მოვლენებით.

— ცნობამ მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ,—ამბობს მომხსენებელი,—მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. თბილისის მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, ჩაებნენ ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, აიღეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი და თავდადებით მუშაობენ იმისათვის, რომ მაღალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ ყრილობის გახსნის დღეს.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის საანგარიშო პერიოდმა განვლო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით, პარტიის XIX ყრილობისათვის გაცხოველებული მზადების ნიშნით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის XXI პარტიულმა კონფერენციამ საქალაქო კომიტეტის მუშაობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად, რაც საქალაქო კომიტეტსა და ქალაქის ყველა პარტიულ ორგანიზაციას ავალებდა ემუშავნათ განსაკუთრებული ენერგიით, მიეღწიათ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, ძირეულად აღმოეფხვრათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილით მუშაობის შედეგები.

ხუთი თვის განმავლობაში დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ თვალსაჩინო მუშაობა გასწია. ფართოდ გაიშალა კრიტიკა ქვემოდან, მტკიცდება საქალაქო კომიტეტის, რაიონული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კავშირი მასებთან, მაღლდება კომუნისტების პასუხისმგებლობა და სიფხიზლე, უმჯობესდება კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმე. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია იწყებს ცხოვრებას სისხლსავსე პარტიული ცხოვრებით.

მოხსენების თვალსაჩინო ნაწილი მიძღვნილი იყო სამრეწველო საწარმოთა მუშაობის საკითხებისადმი. ამხ. ზედგინიძემ კონფერენციას მოახსენა, რომ ქალაქის საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს. შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 6,6 პროცენტით. ამავე დროს, აღნიშნა მომხსენებელმა, ამ საერთო მაჩვენებლის გვერდით სერიოზული ნაკლოვანებანიც არის. მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს.

თბილისის ზოგიერთ საწარმოში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. მაგალითად, თბილისის ფეხსაცმლის მე-2 ფაბრიკის მიერ გამოშვებული წუნდებული პროდუქცია გამოვლინებულ იქნა მოსკოვის, დნეპროპეტროვსკისა და ვოროშილოვგრადის სავაჭრო ორგანიზაციებში.

საჭიროა არსებითად გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციების კონტროლი და დახმარება სამეურნეო საქმიანობისადმი, გამოვავლინოთ და ავითვისოთ შიდასამეურნეო რეზერვები, სრული დატვირთვით გამოვიყენოთ მოწყობილობა, აღმოვფხვრათ წუნი მუშაობაში. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითება იმის შესახებ, რომ თბილისში არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო, უთუოდ უნდა შესრულდეს.

შეეხო რა ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს, ამხ. ზედგინიძემ აღნიშნა, რომ XXI კონფერენციის შემდეგ საქალაქო კომიტეტმა, რაიკომებმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ და რაიონულმა საბჭოებმა უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდეს ხელი საქალაქო მეურნეობას, რომელიც წლების განმავლობაში უყურადღებობის შედეგად მოშლილი იყო. 12 აგვისტოს მწყობრში ჩადგა ბულაჩაურის წყალსადენი, შესამჩნევად გარდაქმნა მუშაობა ქალაქის ელექტროტრანსპორტმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალაქის ელექტროქსელის გაუმჯობესებას, გამწვანების საქმეს. მაგრამ ქალაქის საბჭომ და საქალაქო კომიტეტმა ძალიან ცოტა გააკეთეს საბინაო ფონდის მოსაწესრიგებლად. სარემონტო კანტორები ცუდად მუშაობენ, დაუშვებლად აჭიანურებენ სახლების შეკეთებას.

საანგარიშო მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, უმაღლესი სკოლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაობას და საბჭოთა ვაჭრობის საკითხებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ქალაქის სავაჭრო ქსელი თვალსაჩინოდ გაიზარდა. 8 თვის განმავლობაში მოსახლეობისათვის მიყიდულია გაცილებით მეტი სამრეწველო საქონელი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. მაგრამ ამასთან ერთად ზოგიერთმა სავაჭრო ორგანიზაციამ არაოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგად ძლიერ გააუარესა მუშაობა და ვერ ასრულებს საქონელბრუნვის გეგმებს.

გადავიდა რა პარტიული მუშაობის საკითხებზე, ამხ. ზედგინიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დედაქალაქის ბოლშევიკები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარშემო.

მომხსენებელი ლაპარაკობს პარტიის რიგების ზრდის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ საქმეში იყო საწესდებო მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, მექანიკური ქარხნის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (26 კომისრის რაიონი) პარტიის წევრად მიიღო ამხ. ისახანოვი, რომელსაც შესრულებული არ ჰქონდა საკანდიდატო სტაჟი. ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში აღრიცხვაზე მყოფ პარტიის წევრობის კანდიდატთა 59,7 პროცენტი სტაჟგადაცილებულია.

უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი. მაგრამ ჯერ კიდევ არის კრებების დაბალ დონეზე ჩატარების ფაქტები.

კომუნისტთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა პარტიული კრებები, რომლებზეც განიხილეს „სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი. ეწყობა აგიტატორთა საუბრები, აგრეთვე მეცადინეობანი წრეებში პარტიის XIX ყრილობის მასალების შესასწავლად.

მომხსენებელმა მოიყვანა მაგალითები კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ და აღნიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ქსელში ჩაბმული არ იყო რამდენიმე ათასი ახალგაზრდა.

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო გეგმა ვერ დაძლია 4.912 კაცმა. მართალია, სწავლის მიმდინარეობის პროცესში საქალაქო კომიტეტმა დამატებით შეარჩია გამოცდილი პროპაგანდისტები, მაგრამ ეს მუშაობა ბოლომდე მაინც არ იქნა მიყვანილი. წელს, განაცხადა მომხსენებელმა, საქალაქო კომიტეტმა ყველა ზომები მიიღო იმისათვის, რომ პარტიული განათლების ქსელში ორგანიზებულად დაიწყოს ახალი სასწავლო წელი; მაგრამ მომხსენებელმა არაფერი თქვა იმაზე, თუ სახელდობრ რა ღონისძიებანი იქნა განხორციელებული.

მომხსენებელმა გააკრიტიკა საქალაქო კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, პროპაგანდისა და აგიტაციის, სამრეწველო-სატრანსპორტო და სხვა განყოფილებების მუშაობა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო მოხსენებაში ნაკლები ადგილი ჰქონდა დათმობილი საქალაქო კომიტეტის ყოველდღიური ორგანიზაციული მუშაობის, მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების განზოგადების საკითხებს.

მოხსენებით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის ანგარიშის შესახებ გამოვიდა ამხ. გ. ელისაბედაშვილი.

* * *

გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 17 დელეგატმა. საქალაქო კომიტეტის მუშაობის შეფასებისას დელეგატები ეყრდნობოდნენ იმ დიდ მოთხოვნებს, რომლებიც პარტიული ორგანიზაციებისათვის გამომდინარეობენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან, ამხანაგ სტალინის მითითებებიდან, პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დოკუმენტებიდან.

კონფერენციაზე სიტყვით პირველი გამოვიდა ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ტატიშვილი. მან ილაპარაკა იმ უდიდეს პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობაზე, რაც რაიონის მშრომელთა შორის მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისათვის მზადებამ გამოიწვია.

— ლენინის რაიონის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, — ამბობს იგი, — საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას ეგებებიან ახალი შრომითი გამარჯვებებით, ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო საწარმოთა დონის ამაღლებას დაახლოებით 70 პროცენტით. ეს სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს პარტიულ ორგანიზაციებს და გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ საწარმოთა მუშაობა, არავითარ შემთხვევაში არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა და ამ კონფერენციაზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. მგელაძის მითითებათა საფუძველზე ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოებმა გააუმჯობესეს მუშაობა და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა 103,9 პროცენტით შეასრულეს. მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად რაიონის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. საკმარისია ითქვას, რომ 48 საწარმოდან 8 თვის გეგმა ვერ შეასრულა 8 საწარმომ.

უნდა ვაღიაროთ, რომ როგორც რაიონული, ისე საქალაქო კომიტეტები საანგარიშო პერიოდში სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდნენ და ეხმარებოდნენ ჩამორჩენილ საწარმოებს. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ ამხ. ზედგინიძის მოხსენებაში არ იყო მოცემული ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის ღრმა ანალიზი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კადრების შერჩევა და განაწილება. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. ხშირია შემთხვევა, როცა დიდი ხნის განმავლობაში დაუკომპლექტებელია ვაკანტური თანამდებობანი. თვით საქალაქო კომიტეტშიც მთელი რიგი განყოფილებები კარგა ხანს არ იყო დაკომპლექტებული.

სამართლიანად გააკრიტიკა რა საქალაქო კომიტეტის მუშაობა, ამხ. ტატიშვილს ბევრი არაფერი უთქვამს იმ ნაკლზე, რომელიც რაიონულ კომიტეტს თავის საქმიანობაში აქვს.

კონფერენციის დელეგატებმა — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. სიხარულიძემ, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. მელაძემ, სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. ო. მამაცაშვილმა და ორთაჭალჰესის მშენებლობის უფროსმა ამხ. გ. ჩოგოვაძემ განაცხადეს, რომ ამ საწარმოთა კოლექტივები სულ უფრო და უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად. ცალკეული საამქროები, უბნები, ბრიგადები და სტახანოველები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

თავიანთ გამოსვლებში მათ აღნიშნეს, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მუშაობის დონის ამაღლებას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. ც. კუპრაძემ ილაპარაკა ქალაქ თბილისის სკოლების მუშაობაზე. შეგვიძლია განვაცხადოთ, თქვა მან, რომ თბილისის სკოლების მუშაობაში უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული. მაგრამ დედაქალაქის სკოლების მუშაობის შედეგები არც რაოდენობრივად და არც ხარისხობრივად არ აკმაყოფილებს იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რასაც საბჭოთა სკოლის წინაშე კომუნისტური მშენებლობის ამოცანები აყენებს. მთელ რიგ სკოლებში, — ამბობს ამხ. კუპრაძე, — ძალიან დაბალია მოსწავლეთა წარმატება. მაგალითად, ვაკეთა 26-ე საშუალო სკოლაში გასულ სასწავლო წელს ყოველი მესამე მოსწავლე ჩამორჩენილი იყო. მსგავსი მდგომარეობაა ქალთა 36-ე და ვაჟთა 37-ე სკოლებშიც. სამწუხაროდ, ეს მაგალითები გამონაკლისი როდია. დედაქალაქის ყველა სკოლაში ბრძოლა მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატებისათვის არ იდგა იმ დონეზე, როგორც ამას პარტია და მთავრობა მოითხოვენ. ამისათვის პასუხისმგებლობა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ქალაქის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებსაც ეკისრებათ.

რაიკომის მდივნებმა ამხ. ქ. კაპანაძემ და ვ. პეტრიაშვილმა მკაცრად გააკრიტიკეს თბილისის საქალაქო კომიტეტი და აღნიშნეს, რომ რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში გაცილებით უფრო ცოტა ნაკლი იქნებოდა, პარტიის თბილისის კომიტეტს უფრო ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება რომ გაეწია მათთვის.

ამხ. კაპანაძეს მოჰყავს მშრომელთა განცხადებებისადმი თბილისის საქალაქო კომიტეტის ზოგიერთ მუშაკთა ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტები. საქალაქო კომიტეტს არაფერი არ გაუკეთებია საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს უფროსის ამხ. მაისურაძის შესახებ შემოსული მამხილებელი სიგნალების შესამოწმებლად და ზომების მისაღებად. ამხ. კაპანაძე ამბობს, რომ თბილისის საქალაქო კომიტეტი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს, თვეობით ჭიანურდებოდა ვაკანტურ თანამდებობათა დაკომპლექტება.

— საქალაქო კომიტეტი, — განაცხადა ამხ. პეტრიაშვილმა, — სუსტად ეწეოდა მუშაობას კადრების აღზრდისა და რეზერვების შექმნისათვის. მხოლოდ ამით თუ ავხსნით იმას, რომ საქალაქო კომიტეტმა თვეების განმავლობაში ვერ შეძლო რაიკომისა და რაიაღმასკომის განყოფილებების კადრებით დაკომპლექტება. შეეხო რა საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობის სტილს, ორატორმა თქვა, რომ უკანასკნელ დრომდე ეს ხელმძღვანელობა მრავალრიცხოვანი ინფორმაციების მოთხოვნასა და ტელეფონით გამოძახებაში პოულობდა გამოხატულებას. მომავალში საქალაქო კომიტეტმა ხელი უნდა მოჰკიდოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების და რაიკომების დადებითი მუშაობის გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას, გამოცდილებისა, რომელიც მოპოვებულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ.

კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. კოპალიანმა აღნიშნა, რომ დედაქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციამ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ფართოდ გაშალა ბრძოლა მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის. წინათ მუშაობის სერიოზული ნაკლი იყო კომკავშირული სწავლების სუსტად დაყენება. შარშან პოლიტიკური განათლების ქსელში ჩაბმული არ იყო 5 ათასამდე კომკავშირელი. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ამჟამად მიღებულია ზომები. შემდეგ ამხ. კოპალიანი ლაპარაკობს მუშა ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებზე, რომელთა გამო ჯერ კიდევ ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ბევრ საწარმოში ცუდად არის მოწყობილი ახალგაზრდობის კულტურული დასვენება. ორატორი წინადადებას აყენებს თბილისში აიგოს კომკავშირის სახელობის თეატრი.

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, — განაცხადა მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. რობაქიძემ, — ივლისში განიხილეს ჩვენი სისტემის საწარმოების მიერ გამოშვებული სამკერვალო ნაწარმისა და ფეხსაცმლის ხარისხის საკითხი და დასახეს ღონისძიებანი. მიუხედავად ამისა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. სამინისტრომ და საწარმოთა ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ნოვატორულ ღონისძიებათა ფართოდ გავრცელება და წარმოებაში დანერგვა.

არათვითკრიტიკული იყო ტრესტ „თბილისმშენის“ მმართველის ამხ. ა. ჩიტაიშვილის გამოსვლა. მან ბევრი ილაპარაკა მასალების ნაკლებობაზე, ტექნიკური დოკუმენტაციის თავის დროზე მიუღებლობაზე, საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს მხრივ არასაკმაო დახმარებაზე, მაგრამ არაფერი თქვა თვით ტრესტის ცუდ მუშაობაზე, იმაზე, რომ სამშენებლო უბნებზე ცუდად იყენებენ მექანიზმებს, მოუგვარებელია შრომის ორგანიზაცია და სხვ.

კონფერენცია ვერ დააკმაყოფილა „თბილვაჭრობის“ დირექტორის ამხ. პ. კილასონიას გამოსვლამ. იგი კონფერენციაზე გამოვიდა არასერიოზულად, ცდილობდა დელეგატების ყურადღება გადაეტანა ყურმოკრულ ამბებზე და ამით დაეფარა იმ ორგანიზაციის ცუდი მუშაობა, რომელსაც თვით ხელმძღვანელობს და რომლის მუშაობაშიც ბევრი სერიოზული ნაკლოვანებაა.

საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ პარტბიუროს მდივანმა ამხ. ო. დოლიძემ, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველმა ამხ. ი. ჭუმბურიძემ, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ლაშქარაშვილმა, გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. კორახაშვილმა, ბერიას რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ნ. გიორგობიანმა.

კონფერენციამ თბილისის საქალაქო კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი საქალაქო კომიტეტის მომავალი მუშაობისათვის.

სამანდატო კომისიის მოხსენების მოსმენის შემდეგ კონფერენცია შეუდგა ახალი ხუთწლედის დირექტივებისა და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტების განხილვას.

* * *

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტის შესახებ კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის მოლოტოვის რაიკომის მდივანი ამხ. ა. შენგელია, სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. შავგირაძე, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დირექტორი ამხ. ე. ღვთაძე, პარტიის გარეუბნის რაიკომის მდივანი ამხ. დ. გელაშვილი და სხვები.

დელეგატები თავიანთ გამოსვლებში ლაპარაკობდნენ, რომ დედაქალაქის კომუნისტები, ყველა მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახულ დიად პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებით კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის ძლიერება, დაჩქარდება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა.

— დედაქალაქის საწარმოებში, — აცხადებდნენ დელეგატები, — სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ამ შესანიშნავი შეჯიბრების ავანგარდში დგანან კომუნისტები. მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობას სათავეში უდგანან და წარმართავენ პარტიული ორგანიზაციები.

ზოგიერთმა დელეგატმა, სავსებით მოიწონა რა პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ამასთან ერთად წამოაყენა თავისი წინადადებანი.

ამხ. შავგირაძემ დააყენა საკითხი ტრამვაის მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ, რაც ელექტროენერგიის დიდ ეკონომიას მოგვცემს. შემდეგ იგი აყენებს წინადადებას, რომ მეხუთე ხუთწლედში გათვალისწინებულ იქნას თბილისში ახალი ქარხნის აგება, სადაც მოეწყობა ტრამვაისა და ტროლეიბუსის სტანდარტული დეტალების ცენტრალიზებული წარმოება.

ამხ. ღვთაძემ ქარხნის კოლექტივის სახელით სიტყვა მისცა კონფერენციას, რომ უახლოეს ხანში გამოასწორებენ ჩამორჩენას და ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდებიან ყრილობის გახსნის ისტორიულ დღეს.

საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

შემდეგ კონფერენციამ განიხილა საკითხი პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის შესახებ. ამ საკითხზე სიტყვებით გამოვიდნენ კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კვაჭაძე, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. კ. ანდღულაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პარტკომის მდივანი ამხ. დ. მეფარიშვილი და სხვები.

ისინი აღნიშნავდნენ, რომ წესდების პროექტში გამოხატულება ჰპოვა იმ ცვლილებებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა.

ამხ. კვაჭაძემ კონფერენციას მოუთხრო იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც ეწევიან კიროვის რაიონის პარტიული ორგანიზაციები პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დოკუმენტების განხილვა-შესწავლისათვის.

— წესდების ყოველი პუნქტი, — თქვა მან, — მიმართულია პარტიის რიგების შემდგომი განმტკიცებისაკენ, თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ. დიდი მნიშვნელობა აქვს წესდების პროექტის მოთხოვნას კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის შესახებ.

ამხ. ანდღულაძე ლაპარაკობს, რომ პარტიის XIX ყრილობის მასალების შესასწავლად ფაბრიკაში კომუნისტებისათვის შექმნილია 14 წრე. კომუნისტთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა პარტიული კრება, რომელიც ახალი ხუთწლედის დირექტივებისა და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტების განხილვას მიეძღვნა.

— პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი, — განაგრძობს ამხ. ანდღულაძე, — განამტკიცებს ბოლშევიკური პარტიის ლენინურ-სტალინურ ორგანიზაციულ პრინციპებს, უზრუნველყოფს შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ გაშლას. წესდების პროექტი ითვალისწინებს პარტიის წევრის მოვალეობათა ზრდას, რასაც ახალ, მაღალ საფეხურზე აჰყავს პარტიის წევრის სახელწოდება.

ამ დღეებში შედგა სტალინის რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელზეც განხილულ იქნა პარტიის XIX ყრილობის მასალები. აქტივის კრებაზე წესდების პროექტის გამო სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა სავსებით მოიწონეს პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი და შემოიტანეს თავიანთი წინადადებანი. მინდა კონფერენციას მოვახსენო ამ წინადადებათა შესახებ.

პირველი წინადადება ასეთია: შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის მეორე პარაგრაფში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს ყოველი მშრომელი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელიც ექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას“... რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, დიდიხანია ლიკვიდირებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, წინადადების ავტორები მოითხოვენ მეორე პარაგრაფიდან გამოტოვებულ იქნას, როგორც ზედმეტი, სიტყვები: „რომელიც ექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას“.

ლენინ-სტალინის პარტია დიდ მოთხოვნებს უყენებს თავის წევრებს. კომუნისტი სამაგალითო უნდა იყოს შრომაში და ყოფაცხოვრებაში. მეორე წინადადება სწორედ ამ საკითხს შეეხება. შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის მესამე პარაგრაფში ჩაწერილია: პარტიის წევრი მოვალეა „მაგალითს იძლეოდეს შრომაში...“ წინადადების ავტორები მოითხოვენ მესამე პარაგრაფის ეს პუნქტი მოცემულ იქნას შემდეგი რედაქციით: პარტიის წევრი მოვალეა „მაგალითს იძლეოდეს შრომაში და ყოფაცხოვრებაში...“. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ შრომასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იქცევა კომუნისტი ყოფაცხოვრებაში.

კონფერენციის დელეგატი ამხ. შ. ჯაფარიძე ეთანხმება ამხ. ანდღულაძის წინადადებას და საჭიროდ მიაჩნია მეორე პარაგრაფიდან ამოღებულ იქნას, როგორც ზედმეტი, შემდეგი სიტყვები: „რომელიც ექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას“.

განხილული საკითხის გამო კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ერთხმად იწონებს პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტს. კონფერენციამ საქალაქო კომიტეტს დაავალა ზემდგომ პარტიულ ორგანოებს აცნობოს ყველა ის შენიშვნები და წინადადებანი, რომლებიც წესდების პროექტის განხილვასთან დაკავშირებით იქნა შემოტანილი.

* * *

კონფერენციამ აირჩია საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა და დელეგატები თბილისის II საოლქო პარტიული კონფერენციისათვის.

მთელი დარბაზი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებება ცნობას იმის შესახებ, რომ თბილისის II საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატად არჩეულია პარტიისა და ხალხის დიდი ბელადი, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ამხანაგი სტალინი. თბილისის II საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატებად არჩეული არიან ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. მ. შვერნიკი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ი. მგელაძე.

კონფერენციამ მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიიღო მისალმება ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲕᲘᲖᲠᲣᲜᲝᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პარტიის XIX ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად გორელი მოწინავე კოლმეურნეები და მექანიზატორები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ ყრილობას.

სოფელ შინდისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო საშემოდგომო თესვა. დათესილია პირველი ჰექტარები. შინდისელ კოლმეურნეთა გადაწყვეტილებაა XIX ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ საშემოდგომო თესვის გეგმა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში თესვისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, საშემოდგომო ხვნა ნელი ტემპით წარმოებს. მთელი რიგი კოლმეურნეობები და მტს-ები დაგვიანებით შეუდგნენ თესვისათვის მზადებას, განსაკუთრებით აგვიანებენ თესვის დაწყებას ლიახვის მარჯვენა ნაპირის კოლმეურნეობები.

გორის რაიონის მთაგორიანი ზონის პირობებში თესვის ვადა მოახლოვდა. სოფელ საქაშეთის კოლმეურნეობას თესვა დაწყებული უნდა ჰქონდეს, მაგრამ საამისოდ მზად არ არის. თესლი გაუწმენდავია. სოფელ მეღვრეკისის კოლმეურნეობას არც ნიადაგი აქვს მოხნული და არც თესლი აქვს მომზადებული. კოლმეურნეობამ არ მიიღო ზომები ფართობებიდან ნამჯის გასატანად, რაც აბრკოლებს ხვნის გაჩაღებას. დაბალია შრომის დისციპლინა, კოლმეურნეთა ერთი ნაწილი მონაწილეობას არ იღებს სამუშაოებში, ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, პარტიული ორგანიზაცია სუსტად ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობისადმი.

თესვისათვის მზადებაში უდარდელობას იჩენს ტყვიავის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ამხ. ტ. ძამელაშვილი). აქ ჯერ თესლიც არ მოუმარაგებიათ. ხვნაზე სრული დატვირთვით არ მუშაობენ ტრაქტორები, არც მუშასაქონელს იყენებენ მინდვრის სამუშაოებზე. თესლის მომზადება რაიონში სუსტად მიმდინარეობს. კოლმეურნეობებში თესლის საწმენდი 7 მანქანაა, მაგრამ აქედან 6 გაჩერებულია, რადგან მტს-ებმა დღემდე ვერ შეძლეს მათი წესრიგზე მოყვანა. მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში ნაწილების დაზიანების გამო ხუთ დღეს არ მუშაობდა თესლის საწმენდი მანქანა.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზია მტს-ების ტექნიკის არადამაკმაყოფილებელი გამოყენება. შავშვების კოლმეურნეობის წევრები დიდ დახმარებას მოელოდნენ მექანიზატორებისაგან, მაგრამ ეს არ გამართლდა. მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ცუდი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობა ჩამორჩა საშემოდგომო ხვნაში. კოლმეურნეობაში სამუშაოდ ახალსოფლის მტს-მა 6 ტრაქტორი გაგზავნა. 4 ტრაქტორი თითქმის სისტემატურად დგას ნაწილების დაზიანების გამო. ბრიგადირი ვ. დონღუზაშვილი უპასუხისმგებლობას იჩენს და საჭირო ზომებს არ იღებს ბრიგადის მუშაობაში წესრიგის დასამყარებლად.

სანახევროდაც ვერ ასრულებენ ხვნის გეგმებს ამავე მტს-ის ტრაქტორები ზელდულეთისა და ბერშუეთის კოლმეურნეობებში. ბერშუეთში 30-31 აგვისტოს არ მუშაობდა ტრაქტორი, რომელსაც გ. გლურჯიძე მართავს. კოლმეურნეობა სამარცხვინოდ ჩამორჩა ხვნის საქმეში. ირღვევა აგროტექნიკური წესები, ხვნის წინ ნიადაგში არ შეაქვთ სასუქები.

ტრაქტორები ხშირად მოცდარია მეჯვრისხევის კოლმეურნეობაშიც. 29, 30 და 31 აგვისტოს ახალსოფლის მტს-ის ორი ტრაქტორი არ მუშაობდა ნაწილების დაზიანების გამო. ტრაქტორების ხშირი მოცდენის შედეგია, რომ ეს მტს-ი ჩამორჩა ხვნაში.

ბრიგადებში ბევრი ახალგაზრდა ტრაქტორისტია, რომლებიც მხოლოდ ერთ ცვლად მუშაობენ. მოწინავე ტრაქტორისტების გამოცდილების განზოგადებისა და ახალგაზრდა ტრაქტორისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თითქმის არაფერი კეთდება. ახალგაზრდა მძღოლებს არ ეხმარებიან სიძნელეთა დაძლევაში. მტს-ის ხელმძღვანელები (დირექტორი ამხ. დ. საამიშვილი და მისი მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ვ. ბერძნიშვილი) გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ ტრაქტორების მოცდენის ასაკვეთად, ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ტრაქტორები მთელი დატვირთვით არ არის გამოყენებული აგრეთვე გორისა და შინდისის მტს-ებში. 28 აგვისტოს ნიქოზის კოლმეურნეობაში მთელი დღე არ უმუშავნია შინდისის მტს-ის ერთ ტრაქტორს. ეს ერთეული შემთხვევა როდია.

მტს-ების სატრაქტორო პარკის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად რაიონში საშემოდგომო ხვნა ჩამორჩა. კოლმეურნეობები ხვნაზე არ იყენებენ მუშაპირუტყვს,—თესლის გასაწმენდად კი—ტრიერებს. ნელი ტემპით წარმოებს ნაკვეთებში სასუქების შეზიდვა.

ეს ნაკლებად აწუხებს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკებს. მთავარი აგრონომი ამხ. ა. ნოზაძე დამშვიდებული შესცქერის თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენას და აგროტექნიკის უხეშ დარღვევებს.

— მოსავლის აღება წელს გვიან დავიწყეთ და ამან შეგვიშალა ხელი თესვისათვის მზადებაშიო,—უპასუხისმგებლოდ აცხადებს ამხ. ნოზაძე.

პარტიის გორის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები ჩამორჩენის გამოსასწორებლად, უზრუნველყონ საშემოდგომო თესვის სანიმუშოდ ჩატარება.

**Შ. ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ

**ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ.** („კომუნისტის“ კორ.). რაიონის ზვრებში ყურძენი უკვე მწიფდება. მალე რთველიც გაჩაღდება.

მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს (დირექტორი ამხ. დ. დვალი) დიდი შრომა გაუწევია ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის. 156 ჰექტარი ვენახი საუკეთესოდ არის დამუშავებული. ნიადაგი ორჯერ მოხნეს, ოთხჯერ კულტივაცია ჩაატარეს, სამჯერ გათოხნეს. მთელ ფართობზე საკმაო რაოდენობით შეტანილია მინერალური სასუქები. სადაც საჭირო იყო, ორგანული სასუქებიც გამოიყენეს.

იმ აგროუბანში, რომელსაც აგრონომი ამხ. გ. დათუნაშვილი ხელმძღვანელობს, 32 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე 70 ცენტნერ მოსავალს მოელიან, გეგმა კი 53 ცენტნერს ითვალისწინებს. სოციალისტური შრომის გმირის ამხ. დ. მინდორაშვილის ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილ სხვა ვენახებთან ერთად 10 ჰექტარი სამი წლის წინათ გაშენებული ვენახია. გეგმით თითოეულ ჰექტარზე 22 ცენტნერი ყურძენი უნდა მიიღონ, ფაქტიურად, როგორც ჩანს, 60 ცენტნერზე მეტს მიიღებენ. მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ვ. გეთიაშვილი 7 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე გათვალისწინებული 80 ცენტნერის ნაცვლად 110 ცენტნერი ყურძნის მოყვანას გვპირდება.

მუკუზანში რთველისათვის მზადება კარგა ხანია დაიწყო. პირველ რიგში მანქანა-დანადგარები მოიყვანეს წესრიგზე. მომზადებულია წნეხები, შეკეთებულია სარდაფი, საკმაოდ აქვთ კასრები.

სპეციალურმა საამქრომ (გამგე ამხ. დ. ომარაშვილი) 50.000 დეკალიტრის ტევადობის კასრები შეაკეთა.

წინა წლებში ვენახებიდან ყურძნის გამოზიდვა ჭიანურდებოდა, ტრანსპორტი არ ჰყოფნიდათ. წელს ეს აღარ გამეორდება. 9 ავტომანქანა და ბევრი ურემი შეაკეთეს. ყურძნის კრეფა რომ არ შეფერხდეს, 300 ცალი კალათი დაამზადეს.

რთველისათვის კოლმეურნეობებიც ემზადებიან. ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მარტო მეექვსე ბრიგადას 214 ჰექტარი ვენახი აქვს. ვაზისუბნელებმა წელს შარშანდელზე ბევრად უკეთ მოუარეს ვენახებს, საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერზე მეტ ყურძენს მოელიან. კრეფისათვის მზადა აქვთ კალათები, დანები, გოდრები. ყურძნის გადასაზიდავად მომზადებულია სამი ავტომანქანა და 22 ურემი. ვაზისუბნელები სახელმწიფოს 5.500 ცენტნერ ყურძენს ჩააბარებენ, რაც შარშანდელს ერთიორად აღემატება.

კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები ღრმა ინტერესით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტს, ამასთან მევენახეები ახალ გადიდებულ ვალდებულებას კისრულობენ და იბრძვიან მათი შესრულებისათვის.

# ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲓᲦᲔᲔᲑᲖᲔ

**ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ.** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად დაიწყო შრომადღეზე ხორბლის ავანსად გაცემა. სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში შრომადღეზე ავანსად 10 კილოგრამი მარცვალი გასცეს. კოლმეურნე გიორგი ბუჩუკურის ოჯახმა ავანსად 13.950 კილოგრამი პურეული მიიღო. პურეული დიდი რაოდენობით ერგო აგრეთვე ი. კობაიძის, ყ. წიკლაურისა და სხვ. ოჯახებს.

დიდძალი ხორბალი ნაწილდება სოფლების —ჯაფარიძის, ზემო ქედის, ზემო მაჩხაანის და გამარჯვების კოლმეურნეობებშიც.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების მუშაობა სამხრეთ ოსეთში. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამ მნიშვნელოვან უბანს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

შარშან ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საოლქო კომიტეტმა ხალისით შეადგინა ცნობები იმის შესახებ, რომ ნიშნოსნების მომზადების გეგმები თითქოს გადაჭარბებით იყო შესრულებული: გეგმით გათვალისწინებული იყო იმშთ 1.200 ნიშნოსანის მომზადება, ფაქტიურად მომზადდა 1.320, მშთ მეორე საფეხურის 288 ნიშნოსნის ნაცვლად — 294 და სხვ. ასეთია ცნობები.

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს ციფრები რეალურ მდგომარეობას არ ასახავს. ისინი ძირითადად ადგილებიდან წარმოდგენილ არაზუსტ ცნობებზეა აგებული. მაგალითად, ჯავის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა (თავმჯდომარე ბ. სანაკოევი) ნიშნოსნების მომზადების ასეთი „ორიგინალური“ ხერხი გამონახა: ერთი და იგივე პირები შეჰქონდა სხვადასხვა ფიზკულტურული კოლექტივების სიებში და ნიშნოსნების მომზადების დროს მათ რამდენჯერმე წარადგენდა ხოლმე. მაგალითად, კომკავშირელები ნოდარ სანაკოევი და ხაზბი კოჩიევი შეტანილი არიან როგორც ჯავის კოლმეურნეობის, ისე ამავე სოფლის სკოლის ფიზკულტურული კოლექტივების იმ პირთა უწყისებში, რომლებმაც ვითომ შარშან მშთ ნორმატივები ჩააბარეს, ფაქტიურად კი მათ არც ერთხელ არ ჩაუბარებიათ აღნიშნული ნორმატივი. ა. გერგაულოვი 1950 წლის შემდეგ ძაუჯიყაუში იმყოფება. არც ამ ფაქტს მოერიდნენ ყალბი ცნობების „შემოქმედნი“ და სოფელ მსხლების კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის უწყისში შეიტანეს, თითქოს ა. გერგაულოვს 1951 წელს აქ ჩაებარებინოს მშთ ნორმატივი.

ჯავის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მუშაკებს ს. გასიევს, ბ. ქარსანოვს, ე. გაბარაევს და სხვ. არასოდეს არ ჩაუბარებიათ მშთ მეორე საფეხურის ნორმატივი, მაგრამ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონულმა კომიტეტმა მათაც „სცა პატივი“ და აჩვენა, თითქოს ჩააბარეს მშთ მეორე საფეხურის ნორმატივები 1951 წელს.

ასეთივე ფაქტები არის ზნაურის რაიონშიც. ფიზკულტურისა და სპორტის ზნაურის რაიონულმა კომიტეტმა გასული წლის 30 ნოემბერს მიიღო ბრძანება, რომლითაც მშთ პირველი საფეხურის ნორმების ჩაბარება დაუმტკიცა სოფელ ძვილეთის 45 კოლმეურნეს. ფაქტიურად კი არც ერთ კოლმეურნეს არ ჩაუბარებია ფიზკულტურული ნორმები. ასევე ყალბია ცნობები იმის შესახებ, თითქოს ამავე რაიონის სოფელ ოქონის 90 კოლმეურნემ და სოფელ ქვათეთრის 60 კოლმეურნემ ჩააბარა მშთ პირველი საფეხურის ნორმები.

ნიშნოსნების მომზადება წელსაც ცუდად მიმდინარეობს: გეგმით გათვალისწინებული 850 ნიშნოსნის ნაცვლად მომზადებულია მხოლოდ 268. მშთ პირველი საფეხურის ნიშნოსნების რიცხვი 323 კაცს შეადგენს, გეგმა კი 2.331 ითვალისწინებს. ძალიან ჩამორჩენილია მეორე საფეხურის ნიშნოსანთა მომზადება, 448 ნიშნოსნის ნაცვლად მომზადებულია მხოლოდ 89 კაცი.

ჩამორჩა თანრიგოსნების მომზადებაც: 695 მესამე თანრიგოსნის ნაცვლად მომზადებულია 201, სრულიად არ მომზადებულა პირველი თანრიგოსნები.

სპორტული სექციების მუშაობა ჩამკვდარია. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საოლქო კომიტეტის მიერ გასულ წელს შედგენილი ცნობები მძლეოსანთა, ფრენბურთელთა, მოჭიდავეთა, მოჭადრაკეთა და სხვ. მომზადების შესახებ რეალური არ იყო.

სამხრეთ ოსეთში იშვიათად ეწყობა სპორტული ღონისძიებანი. წელს აქ მხოლოდ 8 სპორტული ღონისძიება განხორციელდა. სასპორტო საზოგადოება „სპარტაკს“ წელს არც ერთხელ არ უფიქრია რაიმე ღონისძიების განხორციელებაზე.

ხშირია შემთხვევა, როცა სპორტულ ღონისძიებათა მოწყობის გეგმა ქაღალდზე რჩება და კარგი განზრახვა სისრულეში არ მოჰყავთ. ჯავაში მიმდინარე წელს ორჯერ ჩაშალეს ფრენბურთისა და ფეხბურთის რაიონული შეჯიბრება. ასევე ჩაიშალა კალათბურთელთა რაიონული შეჯიბრება ზნაურში.

ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის დაბალი დონე, ნაკლოვანებანი ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობაში გამოწვეულია იმით, რომ უყურადღებოდ არის მიტოვებული სასპორტო ბაზების მშენებლობა. რაიონულ ცენტრებში — ჯავასა და ზნაურში სტადიონები არა აქვთ. მხოლოდ ქ. სტალინირში მუშაობს სასპორტო სკოლა და ისიც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

სამხრეთ ოსეთში განსაკუთრებით ჩამორჩენილია მძლეოსნობა. სპორტის ამ სახეში ოლქში მოპოვებული რეკორდი 1937 წლის შემდეგ აღარ გაუმჯობესებულა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მძლეოსნობაში საოლქო შეჯიბრება არ გამართულა. მძლეოსნებს არ მოეპოვებათ ბაზა, სადაც მათ შეეძლებათ ივარჯიშონ, აიმაღლონ ოსტატობა.

არაორგანიზებულ ხასიათს ატარებს მოფარიკავეთა, მოკრივეთა, მოჭიდავეთა წვრთნა. სპორტის ამ საინტერესო სახეების მიმდევარ ახალგაზრდებს კვალიფიციური მწვრთნელები არა ჰყავთ.

მასებში თითქმის არავითარ ორგანიზაციულ მუშაობას არ ეწევა საზოგადოება „კოლმეურნე“. ამ საზოგადოების ხაზით ოლქში ვერ ნახავთ თუნდაც ერთ ძირეულ კოლექტივს, რომელიც დამაკმაყოფილებლად მუშაობდეს. მეტად სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების — „სპარტაკის“, „ისკრის“, „ტრუდის“ საქმიანობაც.

ოლქში საჭადრაკო სპორტის ჩამორჩენაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა. ქ. სტალინირში საჭადრაკო კლუბი არ არის. სპორტის მოყვარული ახალგაზრდების სურვილს საქალაქო საბჭოს აღმასკომი ანგარიშს არ უწევს. ქ. სტალინირში წლების მანძილზე ჭიანურდება სტადიონის კეთილმოწყობა, აგრეთვე კალათბურთის მოედნის მოწყობა. კარგა ხანია მსჯელობენ, მაგრამ ვერ მოგვარდა ქ. სტალინირში სასპორტო ინვენტარის მაღაზიის გახსნა.

საჭიროა ენერგიული ღონისძიებანი სამხრეთ ოსეთში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. უნდა უზრუნველვყოთ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცება, ავამაღლოთ მათი აქტივობა.

**Ნ. ᲖᲐᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**
**Გ. ᲗᲔᲓᲔᲔᲕᲘ,**
**Ვ. ᲒᲔᲚᲥᲝᲔᲕᲘ.**

# ᲠᲝᲓᲔᲛᲓᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲔ?

რუსთაველის პროსპექტის № 1 სახლის ეზოში სანიტარული წესრიგის დაცვას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. გარდა იმისა, რომ ეზო სისტემატურად არ იგვება, აქ უპატრონოდ დაყრილია თბილკვებვაჭრობის მარჯვენა ნაპირის № 1 და თბილხილბოსტანვაჭრობის № 1 მაღაზიებიდან გამოტანილი ცარიელი ყუთები. ეზოში ნახშირის ნამწვისა და ნაცრის გროვაა. უსუფთაობაა თბილხილბოსტანვაჭრობის № 1 მაღაზიაშიც. ამ მაღაზიიდან უვარგისი ხილის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების გატანა ზოგჯერ ჭიანურდება. ამიტომ ეზოში ცუდი სუნი დგება.

ყველაფერი ეს ქმნის ანტისანიტარულ მდგომარეობას.

ამისათვის საყვედურის ღირსი არიან ბერიას რაიონის სანეპიდსადგური და ზემოთაღნიშნულ დაწესებულებათა ადმინისტრაცია, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სანიტარული წესრიგის დაცვა.

საკითხავია, როდემდის გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა?

**Ნ. ᲛᲣᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ

რკინიგზის სამტრედიის მუშათა მომარაგების განყოფილების № 2 სასადილო, რომელიც მომსახურებას უწევს კონდუქტორთა რეზერვის მუშაკებსა და ტექნიკური სკოლის მოსწავლეებს, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. იგი მოუწყობელია, სასადილოში გამეფებულია უსუფთაობა, არა აქვთ საკმაო რაოდენობის კოვზები, თეფშები, ჩანგლები და სხვ.

სასადილოში ვერ იპოვით სასმელ წყალს. ამის შესახებ სასადილოს გამგე ჯ. კრავეიშვილი ასე გვიპასუხებს: „რა ვქნათ „ორსის“ ხელმძღვანელობა გრაფინებს არ გვაძლევს, როცა მომცემენ, წყალსაც მაშინ დაგალევინებთო (!)“.

მიმდინარე წლის 26 თებერვალს უხარისხო სადილი მოგვცეს. ამის შესახებ აქტი შევადგინეთ და რკინიგზის სამტრედიის პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. ი. მგელაძეს წარვუდგინეთ. ამ უკანასკნელის განკარგულებით აქტის სისწორე შეამოწმეს, ფაქტი დადასტურდა. შემოწმების მასალები ზომების მისაღებად სასადილოს ადმინისტრაციას გადაეგზავნა. დირექციის ბრძანებაში ნათქვამია: „კვებისათვის უვარგისი ქაშის გამოშვებისათვის სასადილო № 2-ის შეფ-მზარეულ ქ. გოგუაძეს გამოეცხადოს საყვედური, მხოლოდ გაშვებულ კერძებზედ (!) არასათანადო კონტროლისათვის, სასადილო № 2-ის გამგე კრავეიშვილს მიეცეს მითითება“. შემდეგ კრავეიშვილს მითითება საყვედურით შეუცვალეს. მოსალოდნელი იყო, რომ სასადილოს მუშაკები მუშაობას გააუმჯობესებდნენ. სამწუხაროდ, მდგომარეობა უცვლელი რჩება. სასადილოში ხშირია მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუება, მაგრამ დამნაშავეთა მიმართ ზომებს არ იღებენ. ამას წინათ თითოეულ კერძზე 20-25 გრამი ხორცი დაგვაკლეს. ამის შესახებ სათანადო აქტიც შეადგინეს, მაგრამ აქტს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

საინტერესოა, როდის მოეღება ბოლო ამ უმსგავსოებას?

**Ხ. ᲩᲐᲩᲐᲕᲐ,**
რკინიგზის სამტრედიის რეზერვის მთავარი კონდუქტორი, ლენინის ორდენოსანი.
**Ს. ᲤᲐᲠᲪᲕᲐᲜᲘᲐ, Ქ. ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ, Შ. ᲡᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ.**

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

# ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ

თბილისის პურის № 4 ქარხანაში ცხობის ტექნოლოგიური პროცესი ირღვევა, არის პურის დატაცების შემთხვევებიო, — გვწერდა მუშკორი.

მამხილებელი წერილი საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში დასახელებული ფაქტები დადასტურდა. პურის № 4 ქარხნის დირექტორი ჯაოშვილი მოიხსნა თანამდებობიდან და მასალები მის შესახებ გადაეცა პროკურატურას.

# ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ

### Დ. ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

დავით კლდიაშვილი მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პროზის უაღრესად თვალსაჩინო ოსტატი იყო. იგი ეკუთვნოდა კლასიკური რეალიზმის იმ სახელოვან სკოლას, რომელიც შექმნეს და განამტკიცეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. დავით კლდიაშვილი ერთგულად განაგრძობდა მათს ტრადიციებს. ამ ტრადიციათა შორის მთავარი იყო მაღალი იდეურობა, ცხოვრებაში ღრმად ჩაწვდომა, ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი. მოწინავე ქართული მწერლობის ამ პროგრესულმა იდეებმა კლდიაშვილის შემოქმედებაში ნათელი გამოხატულება ჰპოვეს. მწერლის ყოველი მხატვრული ქმნილება გამთბარია ადამიანისადმი ულრმესი სიყვარულით და აღსავსეა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

დავით კლდიაშვილი იყო მხატვარი, რომელსაც გასაოცრად მახვილი და ფხიზელი თვალი ჰქონდა. თავის ქმნილებებში იგი მკაფიოდ ასახავდა ადამიანის სულისა და საქციელის ყველა თავისებურებას, ყველა იმ თვისებას, რომელნიც შექმნილი და განპირობებული არიან ადამიანის სოციალური და ნაციონალური მდგომარეობით, პროფესიით, აღზრდით და ოჯახური ტრადიციებით. ის, როგორც დაკვირვებული მკვლევარი, ღრმად სწავლობდა თავის ეპოქას, თავისი დროის სინამდვილეს. სინამდვილის ამ ზუსტი შესწავლის შედეგია ძველი სოფლის დუხჭირი ცხოვრების ის სურათები, რომლებიც ცოცხლად არის დახატული მის ნაწარმოებებში. ამავე შესწავლის შედეგია ის მრავალფეროვანი ტიპები ღატაკი აზნაურებისა, რომელნიც განასახიერებენ ამ დაშლილი და დაღლეული წოდების ცხოვრებას.

დავით კლდიაშვილი მტკიცედ და გადაუხრელად მისდევდა რეალიზმის იმ მთავარ პრინციპს, რომელიც მოითხოვს მწერლისაგან გამოხატოს ეპოქის მთავარი ტენდენციები, დამახასიათებელი პროცესები, დახატოს ადამიანთა პორტრეტები, სახეები, რომლებიც წარმოდგენას მოგვცემენ ეპოქაზე. მწერალმა ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადაჭრა. მისი მოთხრობების გმირები მართლაც მეტყველად და ზუსტად ახასიათებენ თავის დროს, იმ მწირი ცნობების მიხედვით, რომლებიც მოგვეპოვება დავით კლდიაშვილის სამწერლო ლაბორატორიის შესახებ, ჩვენ ვიცით, როგორ იქმნებოდნენ ეს ტიპები. მწერალი დიდხანს ცხოვრობდა სოფლად, გამუდმებით ტრიალებდა ხალხში. მოხვდებოდა მას თვალში ესა თუ იმ გლეხის ან ღატაკი აზნაურის სახე, და ამ პირველი შთაბეჭდილების შედეგად ჩნდებოდა პირველი მკრთალი ესკიზი მოთხრობისა, მკრთალი პორტრეტი, რომელსაც ხელოვნების ქმნილებად აქცევდა მწერლის გასაოცარი ფანტაზია, ამდიდრებდა რა მას ყველა იმ თვისებით, რაც მწერალს ამ პორტრეტის მსგავს მრავალ სხვა ადამიანში დაენახა.

მწერალმა სრულყოფილად დახატა რევოლუციამდელი სოფლის უნუგეშო სინამდვილე. მკითხველი ღრმა ინტერესით შეხვდა მის პირველსავე მოთხრობა „შერისხვას“. აქ ნაჩვენებია ტრაგედია გლეხკაცისა, რომელსაც მიწა წაართვეს. შიმშილით სიკვდილის მოლოდინი ამიერიდან თავზარს სცემს მას. მოთხრობის გმირის კაცია საგუნაშვილის სახით ჩვენს წინაშეა მე-19 საუკუნის გლეხკაცი — შევიწროებული, დაბეჩავებული და დაჩაგრული.

უკეთესი ხვედრი არ გამეტა ბედმა არც მარონესათვის („მსხვერპლი“). აქ შემაძრწუნებელი ტრაგედიაა გადმოცემული. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი, რომელიც შეჰხარის ცხოვრებას, რომლის ბუნებაც აღსავსეა ბავშვური გულუბრყვილობით, რომლის ბედნიერებისათვის კმარა ერთი ჭრელი ბაღდადი, რომ თავზე მოიხვიოს და ამაყად გაიაროს თავის ტოლებში—ერთ წელიწადში მიწასთან გასწორა სოფლის პატრიარქალურმა სიბნელემ; აქ მწერალმა გვიჩვენა როგორ ჰკლავდა და აქრობდა ძველი ცხოვრების სინამდვილე ადამიანის ყოველ უბრალო, თვით პატარა სიხარულსაც კი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მოთხრობა მკაცრი და სამართლიანი განაჩენია, რომელიც მწერალმა ძველ ცხოვრებას გამოუტანა. ამაშია კლდიაშვილის კრიტიკული რეალიზმის საბრძოლო მნიშვნელობა. მწერალი გვიჩვენებს, რომ ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური წესწყობილება ამახინჯებდა ადამიანს. მწერალი გვიხატავს უსამართლო სოციალური წყობილების მსხვერპლთ და სამსჯავროზე გამოაქვს ძველი ცხოვრება, როგორც დამნაშავე.

„მსხვერპლი“ მართლაც ბნელი და შემზარავი სურათია. აქ ნაჩვენებია, რა შავბნელ კოშმარად აწვებოდა იმ დროის ადამიანების შეგნებას რელიგიური ცრურწმენანი.

მწერლის მიერ დახატული სურათები ზუსტად გვიჩვენებენ ძველი ეპოქის სინამდვილეს, მკაფიოდ გადმოგვცემენ, თუ რა საშინელ ჯურღმულში ცხოვრობდა ჩვენი რევოლუციამდელი გლეხკაცობა. ამ მხრივ კლდიაშვილი უდიდესი მამხილებელი იყო, რომლის მხატვრული სიტყვა აფხიზლებდა იმ დროის ადამიანებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ესოდენ მაღალი შეფასება მისცა დავით კლდიაშვილის ქმნილებებს ცნობილმა მარქსისტმა კრიტიკოსმა ა. წულუკიძემ.

დავით კლდიაშვილის მეორე მთავარი თემა ღატაკი აზნაურების ცხოვრება იყო. მისი ასეთი მოთხრობების საერთო კოლორიტი მწუხარე და სევდიანია. შიმშილის კლანჭებში ძლივსღა ფართხალებენ ეს ადამიანები, მაგრამ ღატაკი აზნაურები მაინც არ ნებდებიან გაჭირვებას. ამავე დროს მათი აზნაურული სიამაყე არ ეფარდება მათს ყოფას. ამის გამო ისინი სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან.

დავით კლდიაშვილის მოთხრობების ის ციკლი, რომელშიც ასახულია მდაბიოდ ქცეული აზნაურების ცხოვრება, „სოლომონ მორბელაძით“ იწყება. ეს მოთხრობა რეალისტური პროზის ჩინებული ნიმუშია. პირველი ფურცლებიდანვე ჩანს ღატაკი, ენაწყლიანი და დაუცხრომელი სოლომონი, რომლის სახე ისე პლასტიკურად არის გამოკვეთილი, რომ თითქოს ცოცხლად ხედავთ. დეტალების სიუხვე ახასიათებს კლდიაშვილს იქაც, სადაც ის იძლევა წვრილი აზნაურების სახლკარისა და შეძლების სურათებს. სოლომონის ნერვიული ამოძახილები, მისი თვალთმაქცობა ნაყოფია იმისა, რომ ცხოვრება ირღვევა და ღატაკი აზნაური ფეხქვეშ ნიადაგს ვეღარ გრძნობს. მის სიღატაკეს გამოხატავს არა მარტო მისი მწარე ფიქრები, არამედ მთელი გარემო, მისი სახლი, დაცარიელებული სასიმინდე და გაშიშვლებული საცხოვრებელი ოთახი. აქ ნაჩვენებია ის ერთიანობა, რომელიც საგნობრივ გარემოსა და ადამიანს შორის არსებობს.

ეს კავშირი სოციალურ გარემოსა და ადამიანს შორის უფრო ნათლად არის გამოხატული „სამანიშვილის დედინაცვალში“. აქ უკვე მთელი ოჯახის ტრაგედიაა, ტრაგედია იმ ცხოვრებისა, სადაც ბავშვის დაბადებას სიხარული კი არა, პირიქით, უდიდესი უბედურება მოაქვს. „ქამუშაძის გაჭირვებაში“ საერთო ფონი მოქმედებისა, ყოფა და სოციალური გარემო იგივეა, რაც წინა მოთხრობაში. მაგრამ სამაგიეროდ მოთხრობის ფინალში ნაჩვენებია ღატაკი აზნაურის საბოლოო გაპროლეტარება. ამ მოთხრობის საუკეთესო ადგილად უნდა ჩაითვალოს ყოფის გადმოცემა, სოფლის ზამთრის ასახვა უფერული და მწუხარე ფერების ფონზე.

დავით კლდიაშვილის მხატვრული მემკვიდრეობა შედის ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში, ქართული კლასიკური პროზის იმ ქმნილებებთან ერთად, რომლებმაც სრულყოფილად ასახეს ძველი საქართველო. ჩვენი დროისათვის დავით კლდიაშვილის მხატვრულ მემკვიდრეობას მარტო ის მნიშვნელობა კი არა აქვს, რომ მწერალი გვაცნობს რევოლუციის წინადროინდელ სოფელს. ცალკე შესწავლის საგანია მწერლის მხატვრული ოსტატობაც. ახლა, როცა ჩვენ მთელი ენერგიის დაძაბვით ვიბრძვით ქართული პროზის წინსვლისათვის და გულმოდგინედ ვიყენებთ წარსულის ოსტატთა გამოცდილებასაც, კლდიაშვილის შემოქმედების მხატვრული პრინციპების ახსნა დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ჩვენს კრიტიკას კი ეს დღემდე არ გაუკეთებია. ჩვენ არა გვაქვს ვრცელი გამოკვლევა, სადაც ნაჩვენები იყოს ის განსაცვიფრებელი ოსტატობა, რომლის მეოხებით კლდიაშვილს შეეძლო მოთხრობის დასაწყისშივე, ერთი კალმის მოსმით, ერთი შტრიხით გაეცოცხლებინა ადამიანი, და შემდეგ ეს სახე მკითხველს არ ავიწყდებოდა. ის იყო დიალოგის უბადლო ოსტატი. მისი გმირების საუბარში ცოცხალი ცხოვრების რიტმი, მაჯისცემა ისმის და იგრძნობა. აქ ერთი ფრაზაც არ არის შემთხვევითი, ყველაფერი, ყოველი სახე, ყოველი აქსესუარი გამოზომილია ზუსტად და მარჯვედ. მისი ფრაზა გამოკვეთილი და მეტყველია. ეს სისადავე და ფრაზის დამტკიცება რეალისტი ოსტატის უპირველესი თვისებაა.

დავით კლდიაშვილი მოესწრო ჩვენს დროს. მოხუცი მწერალი აღფრთოვანებით მიესალმა ქართველი ხალხის განთავისუფლებას, საბჭოთა წყობილების დამყარებას. რევოლუციის შემდეგ მან გამოაქვეყნა ორი მოთხრობა („კიმოთე მეშველიძე“ და „შუა ცეცხლის პირას“), დაწერა ვრცელი მემუარები, სადაც ასახა თავისი ცხოვრების გზა. „მემუარები“ ფრიად საინტერესო მასალას იძლევა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად. ქართველმა საბჭოთა ხალხმა ღირსეულად დააფასა დიდი მწერლის ღვაწლი. 1930 წელს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილის დღე ხალხმა გამოხატა ის ულრმესი სიყვარული, რომელსაც გულით ატარებდა და ატარებს ამ შემოქმედის მიმართ.

**Გ. ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ**

## სოფიაში ზეიმით გაიხსნა მარშალ ტოლბუხინის ძეგლი

**სოფია,** 6 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სოფიაში ტოლბუხინის სახელობის ბულვარზე ზეიმით გაიხსნა საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინის ბიუსტი-მონუმენტი.

იმის გამო, რომ გაიხსნა ბიუსტი-მონუმენტი მარშალ ტოლბუხინისა, რომლის სარდლობითაც საბჭოთა ჯარების ნაწილებმა გაათავისუფლეს ბულგარეთი, სოფიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მახლობლად გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა და სოფიის გარნიზონის ჯარების მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები რაიკო დამიანოვი და ივანე მიხაილოვი, ბულგარეთის სახალხო თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი პეტრე პანჩევსკი, სსრ კავშირის სამხედრო ატაშე ბულგარეთში გენერალ-ლეიტენანტი ემელიანოვი, სოფიის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სახალხო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი ივანე პაშოვი, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, უცხოეთის მუშათა დელეგაციები, რომლებიც ბულგარეთის განთავისუფლების მერვე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ.

მიტინგი გახსნა ივანე პაშოვმა. მან წინადადება შეიტანა წუთიერი დუმილით ეცათ პატივი სახელგანთქმული მხედართმთავრის ხსოვნისათვის.

მარშალ ტოლბუხინისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა სახალხო თავდაცვის მინისტრმა პანჩევსკიმ. არტილერიის სალუტის გრიალში პანჩევსკიმ ტილო ჩამოხსნა ძეგლს, რომელსაც ოქროს ასოებით აწერია სიტყვები: „მარშალი თ. ი. ტოლბუხინი. სამარადისო დიდება. სოფიის მშრომელ მოქალაქეთაგან“.

მარშალ ტოლბუხინის ბიუსტ-ძეგლს ცერემონიალური მარშით ჩაუარეს სოფიის გარნიზონის სამხედრო ნაწილებმა.

ძეგლი გვირგვინებით შეამკეს მინისტრთა საბჭოს, ბულგარეთის კ. პ. ცენტრალური კომიტეტის, სამამულო ფრონტის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირის, სახალხო ახალგაზრდობის დიმიტროვული კავშირის, მშვიდობის დაცვის ბულგარეთის ეროვნული კომიტეტისა და სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით.

## დასავლეთ გერმანიასთან მოლაპარაკებისათვის სახალხო პალატის დელეგაციის არჩევის გამო

**ბერლინი,** 6 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის 1952 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილების შესასრულებლად სახალხო პალატის პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ვილჰელმ კენენმა დღეს ფედერალური მთავრობის რწმუნებულს დასავლეთ ბერლინში დოქტორ ჰენრიხ ფოკელს წერილი გაუგზავნა. წერილი შეიცავს თხოვნას მიეცეს ფედერალურ რესპუბლიკაში შესვლისა და ყოფნის ვიზები ხუთ წარმომადგენელს, რომლებიც სახალხო პალატამ აირჩია ბონში ერთობლივ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. წერილში გამოთქმულია იმედი, რომ სახალხო პალატის დელეგაცია მიიღებს შესასვლელ ვიზებს და ამით შეძლებს შეასრულოს თავისი ამოცანა გერმანელი ხალხის ურთიერთგაგების დასამყარებლად მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებში.

## გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სხდომა ბონში

**ბერლინი,** 7 სექტემბერი. (საკდესი). როგორც დასავლეთ ბერლინის გაზეთი „ტელეგრაფი“ იუწყება, ბონში გაიმართა დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სხდომა. გამგეობამ გადაწყვიტა პარტიის გამგეობის მომავალ არჩევნებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველი თავმჯდომარის პოსტზე დაასახელოს ოლენჰაუერის კანდიდატურა. თავმჯდომარის პოსტზე ოლენჰაუერის დანიშვნას დაამტკიცებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელიც დორტმუნდში გაიმართება ამა წლის 24-დან 28 სექტემბრამდე.

## ჰოლანდიის კომპარტიის პოლიტბიუროს მიმართვა ჰოლანდიელი ხალხისადმი

**ჰააგა,** 7 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „დე ვარჰეიდმა“ გამოაქვეყნა ჰოლანდიის კომპარტიის პოლიტბიუროს მიმართვა ჰოლანდიელი ხალხისადმი მინისტრთა ახალი კაბინეტის შედგენასთან დაკავშირებით. მიმართვაში ნათქვამია, რომ ახალი კაბინეტის პერსონალური შემადგენლობა მოწმობს, თუ რა ძლიერი ზეგავლენა მოახდინა, რა უხეშად ჩაერია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ჰოლანდიის კაბინეტის შედგენაში.

# კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 6 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი და დააზიანეს ერთი თვითმფრინავი.

**ფხენიანი,** 7 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად გასული დღის მანძილზე ფრონტების ცალკე უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

## აღმოსავლეთ ჩინეთის სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტის პლენარული სესიები

**შანხაი,** 7 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ძეფანჟიბაო“ იუწყება, რომ 28-დან 30 აგვისტომდე და 1-დან 3 სექტემბრამდე გაიმართა აღმოსავლეთ-ჩინეთის სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტის მე-5 და მე-6 პლენარული სესიები.

სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტის წევრმა ჩენ იმ, რომელმაც მოხსენება გააკეთა მე-5 სესიაზე, დაახასიათა ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა და ილაპარაკა ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩინეთში და საზღვარგარეთ მომხდარი უმნიშვნელოვანესი ამბების შესახებ. მან აღნიშნა, რომ თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩინელმა ხალხმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

თავისი მოხსენების დასასრულს ჩენ ი შეეხო ჩინეთის წინაშე დასახულ ამოცანებს.

მოსმენილ იქნა აგრეთვე მა ინ-ჩუს მოხსენება 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და 1952 წლის ბიუჯეტის შესახებ.

მოხსენება წარმოების გადიდებისათვის მოძრაობის შემდგომი გაშლისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის შესახებ გააკეთა ძენ შანმა.

მე-6 სესიაზე მოხსენებები გააკეთეს აღმოსავლეთ ჩინეთის კულტურისა და განათლების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ შუ ტუნმა და აღმოსავლეთ ჩინეთის მთავარმა პროკურორმა ვეი ვენ-ბომ.

# „მ თ ა ვ ა რ ი ა მ შ ვ ი დ ო ბ ა!“

## პრეზიდენტობის კანდიდატ ჰოლინენის გამოსვლა რადიოთი

**ნიუ-იორკი,** 7 სექტემბერი. (საკდესი). პროგრესული პარტიისაგან პრეზიდენტობის კანდიდატმა ჰოლინენმა მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიმართა სიტყვით, რომელიც ერთსა და იმავე დროს გადაცემულ იქნა რადიოთი და ტელევიზიით (გამოსვლის ნებართვა მიღებულ იქნა ტელევიზიისა და რადიომონოპოლიების წინააღმდეგ 3 თვის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ). ჰოლინენმა თავის სიტყვაში მოუწოდა ამერიკელ ხალხს მხარი დაუჭიროს მშვიდობის პარტიას, რომელიც მოითხოვს „მშვიდობას არა რომელიღაც ბუნდოვან შორეულ მომავალში, არამედ კორეაში წარმოებული ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას“. რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების კანდიდატებს, განაცხადა ჰოლინენმა, არა მარტო არ შეუძლიათ რაიმე პასუხი გასცენ მშვიდობის მოთხოვნაზე და არაფრის თქმა არ შეუძლიათ კორეაში ომის შეწყვეტის მიზნით, არამედ ისინი მშვიდად ლაპარაკობენ ომის განგრძობასა და გაფართოებაზე.

შემდეგ ჰოლინენმა განაცხადა, რომ პროგრესული პარტია მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი კორეაში უკვე შეთანხმებული სადემარკაციო ხაზის საფუძველზე და აგრეთვე მოითხოვს, რომ სამხედრო ტყვეების საკითხი სამოქალაქო პირებმა განიხილონ საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. ომი კორეაში, განაგრძო მან, „შეიძლება დღესვე დამთავრდეს. საკმარისია ტელეფონით დარეკონ თეთრი სახლიდან კორეაში, და ომს ბოლო მოეღება“.

შემდეგ ჰოლინენი მოკლედ შეეხო თავის ბიოგრაფიას. მან აღნიშნა, რომ მამამისი ირლანდიელი გლეხი იყო, რომელიც შეერთებულ შტატებში გამოექცა ინგლისელ მემამულეებს და რომლისგანაც, როგორც ჰოლინენმა განაცხადა, „შეითვისა შეუწყნარებლობა უსამართლობისა და უთანასწორობისადმი“.

დაუბრუნდა რა ომის პროგრამას, რასაც ახლა შეერთებული შტატები ახორციელებენ, ჰოლინენმა აღნიშნა: „შეიარაღების პროგრამა ყოველწლიურად 65 მილიარდ დოლარად ჯდება. ეს დღეში 177 მილიონ დოლარს შეადგენს. მაგრამ არც ეიზენჰაუერს, არც სტივენსონს არ მოუთხოვიათ ამ უზომოდ ხელგაშლილი ხარჯების თუნდაც ერთი გროშით შემცირება. ეს ის ფულია, რომელსაც თქვენი ჯიბიდან იღებენ და ხელფასში გაკლებენ. ამან საშინელი ინფლაცია გამოიწვია, იმდენად გააძვირა ცხოვრება, რომ სურსათის ფასები 30 პროცენტით გადიდდა მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო. გადასახადები 74 პროცენტით გადიდდა კორეაში ომის დაწყების დღიდან. გადიდდა მოგებაც. კორპორაციები თავიანთ მოგებას ყოველწლიურად 16 მილიარდი დოლარით ადიდებენ კორეაში ომის დაწყების მომენტიდან“.

შემდეგ ჰოლინენმა ცხადყო, თუ როგორ შეიძლებოდა სამშვიდობო მიზნებისათვის იმ სახსრების გამოყენება, რომლებიც ახლა შეიარაღებაზე იხარჯება.

„პროგრესულ პარტიას, განაცხადა ჰოლინენმა, მშვიდობის საკითხი მთავარ საკითხად მიაჩნია 1952 წელს. ჩვენ მშვიდობის ერთადერთი ნამდვილი პარტია ვართ, რადგან მარტო ჩვენი პროგრამა მოითხოვს შეწყდეს ომი, რომელიც ამჟამად კორეაში წარმოებს. ჩვენ ვართ მშვიდობის ერთადერთი ნამდვილი პარტია, რადგან რესპუბლიკელთა და დემოკრატთა ორპარტიულ პროგრამას კიდევ უფრო დიდი და უფრო საშინელი ომის გზით მიჰყავს ამერიკა. ჩვენი საქმე არ არის ვუკარნახოთ ჩინეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს, თუ მმართველობის რა ფორმა აირჩიონ... მეგობრებს ვერ შევიძენთ და მოკავშირეებს ვერ მოვიმხრობთ, თუ ხალხს წავაქეზებთ ომისაკენ, რომელიც მას არა სურს. მაგრამ სწორედ ამას სჩადიან რესპუბლიკელები და დემოკრატები“.

შემდეგ ჰოლინენმა ილაპარაკა, რომ ევროპაში მოგზაურობის დროს მან კედლებზე ყველგან ნახა ცარცით წარწერილი: „ამერიკელებო, წაეთრიეთ შინ“. მან დასძინა: „ამერიკელებო, წაეთრიეთ შინ“ მსოფლიო მოთხოვნა გახდა, ხოლო ამერიკელი ჯარისკაცები მთელ მსოფლიოში კითხულობენ: „რატომ ვართ აქ? ჩვენ შინ წასვლა გვინდა“. რესპუბლიკელები და დემოკრატები გვეუბნებიან, რომ მილიარდებმა, რომლებსაც ისინი შეიარაღებაზე ხარჯავენ, მოკავშირეები უნდა შეგვძინოსო. რა მოგვიტანა ამ მილიარდებმა? რა ძალას, რა უშიშროებას უქადის ჩვენს ქვეყანას მოთხოვნა „ამერიკელებო, წაეთრიეთ შინ“?

ჰოლინენმა აგრეთვე ჩამოაყალიბა პროგრესული პარტიის მშვიდობის პროგრამა, რომელიც შეიცავს მოთხოვნას შეწყდეს გერმანიისა და იაპონიის ხელახალი შეიარაღება, აიკრძალოს ატომური იარაღი, გამოწვეულ იქნან ამერიკის ჯარები ოკეანისგაღმა ბაზებიდან და განსაკუთრებით იმის მოთხოვნას, რომ მოწვეულ იქნას ხუთი სახელმწიფოს კონფერენცია ყველა უთანხმოების მშვიდობიანი მოგვარების შესახებ მოსალაპარაკებლად.

შემდეგ ჰოლინენმა წარადგინა პროგრესული პარტიისაგან ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი შარლოტა ბასი, რომელმაც დაგმო ორივე ძველი პარტია იმისათვის, რომ ისინი მხურვალედ უჭერდნენ მხარს დიქსიკრატებს (დემოკრატიულ პარტიაში შემავალ რასისტებს, რომლებიც სამხრეთ შტატებში თარეშობენ.—რედ.) და ლალატობენ ზანგების მისწრაფებას. მან მოუწოდა ზანგებს მხარი დაუჭირონ პროგრესულ პარტიას — მშვიდობის პარტიას.

## ბრიტანეთის ტრედ-უნიონების ყრილობის შემდეგ

### ჰარი პოლიტის სტატია

**ლონდონი,** 6 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი“ აქვეყნებს დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ჰარი პოლიტის სტატიას, რომელიც მიეძღვნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესის მუშაობის შედეგებს.

პოლიტი წერს, რომ კონგრესმა მკაფიოდ გვიჩვენა შემდეგი სამი მომენტი: პირველი, რაც უფრო ენერგიულად შრომობს ინგლისელი ხალხი და რაც უფრო მეტ პროდუქტას იძლევა, მით უფრო ღარიბი ხდება იგი.

მეორე, ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა განუხრელად უარესდება; იგივე შეიძლება ითქვას ამერიკის ყველა სატელიტის შესახებ, რომლებიც იძულებული არიან განახორციელონ ხელახალი შეიარაღების პოლიტიკა.

მესამე, მატულობს მესამე მსოფლიო ომის საშიშროება, რამდენადაც ინგლისი დაკავშირებულია ამერიკელ მილიონერებთან ტრედ-უნიონების კონგრესის მემარჯვენე ლიდერების და ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკის შედეგად.

პოლიტი აღნიშნავს, რომ ხელახალი შეიარაღების სასარგებლოდ მოყვანილი ყველა საბუთი გააცამტვერა სტალინმა 1951 წლის თებერვალში, როცა მან პასუხი გასცა ეტლის ცილისმწამებლურ ჭორებს საბჭოთა კავშირის შესახებ. შემდეგ პოლიტს მოჰყავს ამონაწერები „პრავდის“ კორესპონდენტისათვის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ მიცემული პასუხებიდან, რომლებიც გამოქვეყნდა 1951 წლის 17 თებერვალს.

„მოვლენათა მსვლელობა,—წერს შემდეგ პოლიტი,—განსაზღვრული იქნება ორგანიზებული პროფკავშირული მოძრაობის მონაწილეთა საბრძოლო მოქმედებით და არა დიკინის, ტიუსონის, უილიამსონისა და ლოუტერის სიტყვებით. სერიოზული შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ გენერალური საბჭოს პოლიტიკისათვის მიცემული ხმები პროფკავშირის რიგითი წევრების ნამდვილ აზრს გამოხატავენ, ანდა რომ ამ ხმებს შეუძლიათ შეანელონ რიგითი წევრების უნარი — მიაღწიონ ხელფასის გადიდებას, შეიარაღების შემცირებას, სამუშაოთი უზრუნველყოფასა და მშვიდობას.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გენერალური საბჭო ბევრ მნიშვნელოვან საკითხში დამარცხდებოდა, რომ ყველა, ვინც მისი რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის, გაერთიანებული ყოფილიყო.

პოლიტი აღნიშნავს ერთიანი მოქმედების იმ საფუძველს, რომელიც მან დასახა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ყრილობაზე მიმდინარე წლის აპრილში. იგი აცხადებს, რომ ასეთ მოთხოვნათა დასაცავად „შეიძლება შევქმნათ უაღრესად ფართო გაერთიანებული მასობრივი მოძრაობა და მოქმედებაში ჩავაბათ ყველა ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაცია, საამქროების მამასახლისთა კომიტეტები და პროფკავშირთა საბჭოები“.

## ეგვიპტის ამბების გამო

**ლონდონი,** 7 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, ეგვიპტის ახალი მთავრობა ჩამოყალიბებულია შემდეგი შემადგენლობით: პრემიერ-მინისტრი, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო მინისტრი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი — გენერალი მუჰამედ ნაგიბი; პრემიერ-მინისტრის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი—სოლიმან ჰაფეზი; საგარეო საქმეთა მინისტრი — აჰმედ ფარაგ ტაია (ეგვიპტის ახლანდელი დესპანი იორდანიაში და ელჩი ერაყში); ფინანსთა მინისტრი—დოქტორი აბდელ ჯალილ ელ-ემარი; საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი—მურად ფაჰმი; განათლების მინისტრი —ისმაილ ელ-ქაბანი; პროპაგანდის მინისტრი—ფაფხი რადვანი—უკიდურესი ნაციონალისტური პარტიის ლიდერი; გზათა მინისტრი — დოქტორი ნურ ედ-დინ ტარაფი — უკიდურესი ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენელი; ვაკუფების საქმეთა მინისტრი — შეიხი აჰმედ ჰასან-ელ-ბაკური—„მუსლიმანური ძმობის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი; მიწათმოქმედების მინისტრი — აბდელ აზიზ აბდალაჰ სალემი; ვაჭრობის, მრეწველობისა და მომარაგების მინისტრი —დოქტორი მაჰმუდ აბუ ზეიდი; ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — მუჰამედ საბრი; მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საქმეთა მინისტრი—მადკურ იბრაჰიმ ბაიუმი.



**ქარელი.** კულტურისა და დასვენების რაიონულ პარკში. შესასვლელი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მშენებლობა რუსთაველის მოედანთან

რუსთაველის მოედანს, რომელიც სულ მალე თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს მოედნად გადაიქცევა, ახლო მომავალში დაამშვენებს ქვანახშირის მუშაკთა მრავალსართულიანი, მშვენიერი არქიტექტურული გარეგნობის მაღალკოშკიანი სახლი. ამ სახლის პირველი კორპუსის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება.

სახლის მშენებლებმა გადაწყვიტეს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად გააძლიერონ მუშაობის ტემპი და მთავარი კორპუსის ფასადის მოპირკეთება დაამთავრონ უახლოეს რამდენიმე კვირაში. გაცხოველებით მიმდინარეობს შენობის შიგნითა სამუშაოები — ცენტრალური გათბობის სისტემის გამართვა, სატელეფონო ქსელის გაყვანა, სანიტარულ-ტექნიკური დანიშნულების მოწყობილობათა დამონტაჟება, დერეფნების, ოთახების, დარბაზების შეღებვა და მომზადება.

რამდენიმე დღეა მშენებლები შეუდგნენ შენობის კოშკის მოპირკეთებას ბოლნისის დეკორაციული ქვით. ამ სამუშაოს შესრულება მინდობილი აქვთ საუკეთესო ოსტატებსა და მეჩუქურთმეებს. ჩუქურთმის ამომკვეთლებს ხელმძღვანელობს გამოცდილი ოსტატი გ. მრევლიშვილი, ხოლო მოსაპირკეთებელი ქვის დამუშავებაზე წარმატებით მუშაობენ საუკეთესო კალატოზები თ. მაისაშვილი, ვ. გიორგობიანი და მეჩუქურთმეები გ. ჯიქურიძე, ნ. გოგოლაშვილი, და თ. ფალავანდიშვილი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 120-180 პროცენტით ასრულებენ.

მათ იკისრეს დანიშნულ ვადაზე ორი კვირით ადრე დაამთავრონ კოშკის მოპირკეთება, მისი ზემო ნაწილის — გუმბათის აგება და შიგნით მოწყობა.

## ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ ახალი ნომერი

გამოვიდა მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკის“ მე-8 ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია მასალები კომუნიზმის დიად მშენებლობათა, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ქვანახშირის მრეწველობაში ახალი ტექნიკის დანერგვის, მოწინავე მშენებელთა გამოცდილების გამოყენების, დედამიწის ფორმისა და ზომების შესახებ ახალი მონაცემების, ნორჩ ტექნიკოსთა შემოქმედებისა და სხვა საკითხებზე.

ჟურნალში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ილუსტრაციას, მაგრამ ეტყობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, სადაც ჟურნალი იბეჭდება, მკითხველებისადმი უპატივცემლობას იჩენს და არ ზრუნავს ბეჭდვის ხარისხისათვის.

რედაქციამ უნდა უზრუნველყოს სურათების ბეჭდვის ხარისხის გაუმჯობესება.

## კალათბურთელთა ასპარეზობა სსრ კავშირის პირველობისათვის

**ერევანი,** 7 სექტემბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 26 კომისრის სახელობის პარკის ორივე სასპორტო მოედანზე გრძელდება უძლიერესთა ასპარეზობა კალათბურთში სსრ კავშირის პირველობისათვის.

მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს თბილისის „დინამოს“, კაუნასის „ჟალგირისის“, მოსკოვის ვვს-ის ვაჟთა, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის და „დინამოს“ ქალთა გუნდების გამოსვლა.

სადაც თბილისის დინამოელები ვარჯიშობენ ან შეჯიბრებას მართავენ, იქ მუდამ მრავალი მაყურებელი იყრის თავს.

7 სექტემბერს შემდგარ შეჯიბრებათაგან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა მოსკოვის „დინამოსა“ და სვერდლოვსკის „ზენიტის“ ვაჟთა გუნდების შეხვედრა. სვერდლოვსკელმა კალათბურთელებმა მაღალი ოსტატობით ჩაატარეს თამაში და მოუგეს ძლიერ მოწინააღმდეგეს—მოსკოვის „დინამოს“ ანგარიშით 57 : 56.

მეორე დღე აღინიშნა თბილისის „დინამოს“ ვაჟ კალათბურთელთა გუნდის მორიგი გამარჯვებით. მათ წინააღმდეგ ამ დღეს მინსკის „ისკრა“ თამაშობდა, დინამოელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს. ანგარიში — 90 : 36.

მეორე გამარჯვება მოიპოვა თბილისის „ნაუკას“ ქალთა გუნდმა მინსკის „ისკრასთან“ ანგარიშით 58 : 25.

თბილისის „ნაუკას“ ვაჟთა გუნდი 7 სექტემბერს შეხვდა ძლიერ მოწინააღმდეგეს—რიგის „დაუგავას“. თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ანგარიში იყო 43 : 43. ბოლო წუთებში რიგელმა კალათბურთელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის ჩაგდება კალათში და მოიგეს შეჯიბრება—45 : 43.

ამავე დღეს გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე კაუნასის „ჟალგირისის“, მოსკოვის ვვს-ის, ტარტუს უნივერსიტეტის ვაჟთა და მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდებმა.

## სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორიუმში

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორიუმში სექტემბრის განმავლობაში მოეწყობა შემდეგი ლექციები:

11 სექტემბერს — პროფესორ ი. ჯაშისა — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პროექტის მიხედვით.

18 სექტემბერს — დოცენტ ს. სიმონგულოვისა — საკავშირო კ. პ. (ბ) შეცვლილი წესდების პროექტი.

25 სექტემბერს—დოცენტ ფ. მამფორიასი — მცენარის ზრდის საკითხი მიჩურინული მოძღვრების თვალსაზრისით.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

**პირველი გვერდი** — მოწინავე — კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ.

თბილისის XXII საქალაქო პარტიული კონფერენციის მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად.

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის შესახებ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს (მესამე მოწვევის) VIII სესია.

**მეორე გვერდი** — ვ. გოლცევი — ძვირფასი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში (ამერიკელი მუშების პირველ დელეგაციასთან ამხანაგ ი. ბ. სტალინის საუბრის 25 წლისთავის გამო).

მთლიანად მოვკრიფოთ ჩაის ფოთლის მოსავალი. გამოუყენებელი შესაძლებლობანი.

სოფიას ჩავიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია.

**მესამე გვერდი** — თბილისის XXII საქალაქო პარტიული კონფერენცია.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

# პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს წ ი ნ ი ა პ ო ნ ი ა შ ი

**ტოკიო,** 6 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „აკაჰატამ“ გამოაქვეყნა იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს თეზისები კომუნისტური პარტიის ძირითადი ხაზის შესახებ პარლამენტის მომავალ არჩევნებში.

თეზისებში აღნიშნულია, რომ პარლამენტის უეცარი დათხოვნა უკარნახეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომელთაც სურდათ მოუმზადებელთ დასხმოდნენ თავს ოპოზიციურ პარტიებს, ჩაეხშოთ ხალხის ბრძოლა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე მოსყიდვით და ყოველგვარი რეპრესიებით აღედგინათ გამცემლური მონარქისტული ბიუროკრატიული სისტემა და განემტკიცებინათ ეროვნული გამცემლობის ბიუროკრატიული ძალების ბატონობა. ყოველივე ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ სავსებით ჩაფუშა ამერიკელი რეაქციონერების ომის მომზადების პოლიტიკა ხალხის უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის გაძლიერების გამო, რამაც ეროვნული გამცემლობის პარტია — ლიბერალური პარტია უკვე მიიყვანა დაშლის პირას.

მომავალი არჩევნები, ნათქვამია თეზისებში, სერიოზული ბრძოლაა, რომელზეც დამოკიდებულია გადაწყვეტა საკითხისა: იყოს მშვიდობა თუ ომი, თავისუფლება თუ მონობა, ეროვნული გამცემლობა თუ პატრიოტიზმი, ეროვნული დამოუკიდებლობა თუ დამორჩილება. თუ ჩვენ ამ არჩევნებში დავმარცხდებით, მომავალი პარლამენტი ხელახალი შეიარაღების, კონსტიტუციის გადასინჯვისა და საზარბაზნე ხორცად იაპონელი ხალხის გადაქცევის პარლამენტი გახდება. ხოლო თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, იგი გადაიქცევა ამერიკელი რეაქციონერების საოკუპაციო რეჟიმისადმი ეროვნული წინააღმდეგობის პარლამენტად და რევოლუციური ბრძოლის ფართო ასპარეზად.

## იაპონიის კომპარტიის საარჩევნო თეზისები

თეზისებში კომუნისტური პარტიის წევრების წინაშე დასახულია ამოცანა მთელი ერის საარჩევნო პროგრამად გადააქციონ ეროვნული განთავისუფლების ერთიანი ფრონტის საარჩევნო პროგრამა, რომელიც კომპარტიამ წამოაყენა. ამ მუშაობის წარმატებაზე იქნება დამოკიდებული საარჩევნო ბრძოლის დროს ეროვნული განთავისუფლების ერთიანი ფრონტის განვითარება. კომუნისტებმა უნდა გამოიყენონ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა, დაეყრდნონ მუშათა და გლეხთა კავშირს და იხელმძღვანელონ მათი რევოლუციური მოთხოვნებით. ეს პარტიის თვითეული წევრისაგან მოითხოვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო კამპანიაში.

თეზისები შემდეგ ძირითად ამოცანებს უსახავენ კომუნისტური პარტიის წევრებს საარჩევნო ბრძოლაში:

1) იბრძოლონ ერთიანი ეროვნული ფრონტის კანდიდატების არჩევისათვის; გაერთიანდნენ ყველა დემოკრატიულ პარტიასთან, ორგანიზაციასა და პატრიოტებთან, რომლებიც იბრძვიან ლიბერალური პარტიის დამარცხებისათვის, ამასთან შეინარჩუნონ მოქმედების თავისუფლება და კამპანიის მონაწილე ყველა პარტიის ურთიერთ კრიტიკის უფლება.

2) იბრძოლონ ერის გათიშვის პოლიტიკის წინააღმდეგ, ულმობლად გააკრიტიკონ მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტური პარტიების გამთიშველი პოლიტიკა.

3) ერთიანი ფრონტისა და კოალიციის საფუძველი უნდა იყოს ერთიანი ფრონტის საარჩევნო პროგრამა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ წარმოადგინა.

4) საჭიროა ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ დაამარცხონ ლიბერალური პარტია და წაართვან მის რიგებს ყველა პატიოსანი ელემენტი.

5) მოაწყონ საარჩევნო ფონდების მამხილებელი სახალხო კომიტეტები, დაიცვან პარტია პროვოკაციებისაგან, მის კანდიდატებზე თავდასხმებისა და ხელყოფისაგან, ამავე დროს საჭიროა სიფხიზლე გამოიჩინონ პარტიაში არსებული მდგომარეობისადმი.

6) პარტიის ყველა წევრმა უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში იმ მტკიცე რწმენით, რომ თუ არ არის ეროვნული ერთიანობა, არ შეიძლება იყოს წარმატება ეროვნული განთავისუფლების საქმეში, ხოლო ეროვნული ერთიანობა არ შეიძლება იყოს, თუ კომუნისტურმა პარტიამ არ გაიმარჯვა.

შემდეგ თეზისებში აღნიშნულია საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში პროპაგანდისტული მუშაობის ძირითადი ამოცანები, რომლებიც იმით გამოიხატება, რომ ფაქტებით ამხილონ ლიბერალური პარტიის მოქმედება, განმარტონ იაპონიის ნამდვილი მდგომარეობა, ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ პარტიის ახალ პროგრამას და დაარწმუნონ მთელი ერი, რომ საჭიროა გაუქმდეს სეპარატული საზავო ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა შეთანხმება. „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ნათქვამია თეზისებში, მშვიდობის ბანაკის ქვეყნების და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ნამდვილი მდგომარეობის და ეკონომიური და სოციალური განვითარების მათი პოლიტიკის განმარტებას“.

## საქართველოს რადიოგადაცემათა 10 სექტემბრის პროგრამა

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 06.25 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 07.30 — კონცერტი; 09.20 — ქართული ხალხური სიმღერები; 11.00 — ბანდურისტების კაპელის კონცერტი; 12.15 — რუს კომპოზიტორთა რომანსები; 12.45 — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ანსამბლის კონცერტი; 17.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის: ილია ჭავჭავაძის ლექსები; 18.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 19.20 — არიები და დუეტები რუს კომპოზიტორთა ოპერებიდან; 19.45 — გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის.

**რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 20.30 —საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 20.45 —ქართული კამერული მუსიკის კონცერტი; 21.00 — საუბარი — ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების სისხლიანი ბოროტმოქმედებანი ამიერკავკასიაში 1918-1920 წლებში; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა — ნაწყვეტი დავით კლდიაშვილის მოთხრობიდან „სოლომონ მორბელაძე“; 22.50 — რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტი; 00.05 — ჩაიკოვსკის ვალსები.


საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს პოლიგრაფიული სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის. სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 17-დან 25 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის 8 კლასი ან საშუალო სკოლის სრული კურსი.

სასწავლებელი ამზადებს ხელოსნებს პოლიგრაფიული მრეწველობისათვის შემდეგი განხრით: ასოთამწყობი, ლინოტიპისტი, მბეჭდავი.

სწავლის ხანგრძლივობა — 2 წელი.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარადგინონ: რვა კლასის დამთავრების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა, პასპორტი, ჯანმრთელობის მოწმობა, ავტობიოგრაფია, ორი ფოტოსურათი, მოწმობა სამხედრო ვალდებულების შესახებ.

სასწავლებელში შემსვლელნი აბარებენ გამოცდას — ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი) და მათემატიკაში არასრული საშუალო სკოლის პროგრამით.

სამამულო ომში დაღუპულთა შვილები, ომის ინვალიდთა შვილები და დედმამით ობლები მიიღებიან სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე.

განცხადებები მიიღება სასწავლო ნაწილში 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე, დილის 9 საათიდან დღის 4 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, ფურცელაძის ქუჩა, № 5.



ქალთა მეორე საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება **მელიტონ ჭიჭინაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სალხინოში.

ქალთა მეორე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან **სუსანა მელიქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-IX ნოქალაქევში.

მეუღლე აგრაფინა, შვილები ივანე, ბიძინა, გიორგი, რძლები ლილი, მაყვალა, შვილიშვილები თემურ, მარინე, ძმები არჩილ, დავით, და ლუბა იუწყებიან **ამბროსი ზაქარიას-ძე ჩახნაშვილის**(?) გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IX, 8 ს. გამოსვენება 11-IX, $5^1/_2$ ს. გორის ქ. № 2.

შვილები სერგო, ტონია, სიძე ე. ლელაძე, შვილიშვილები ზაირა, კოტე, დალი იუწყებიან **მარიამ იაკობის ასულ ცაგარეიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-IX, 5 ს. ა. ჭავჭავაძის ქ. № 16.

მშობლები აკაკი, ვენერა, ძმა ნოდარ, და მზია თუთბერიძეები იუწყებიან პატარა **იზაბელას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IX, 7 ს. გამოსვენება 11-IX, 4 ს. ქუთაისის ქ. № 21.

არტემ, ქეთო, დოდო, ირა ბოჯგუები იუწყებიან ბიცოლისა და ბებიის **ბარბალე ივანეს ასულ გაგუა-ბოჯგუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IX, 8 ს. გამოსვენება 11-IX, 5 ს. ა. ჭავჭავაძის ქ. № 8.

ელენე, ვლადიმერ, მიხეილ, ფატმა, ოლღა რაზმაძეები იუწყებიან მამიდის **ნინო ალექსის ასულ რაზმაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-IX ქ. გორში. გამოსვენება ბინიდან ნინოშვილის ქ. № 14.


## დღეს თეატრებში

**გრიბოედოვის სახელობის** — მაკარ დუბრავა (აბონემენტი 15, 16); **სანკულტურის**—მე შენ მოგნახავ; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—ძველი ჭრილობა (აბონემენტი 4, 37, დასაწყისი 2 საათსა და 30 წუთზე საქართველოს ფილარმონიის შენობაში), ბაში-აჩუკი (აბონემენტი 41, დასაწყისი 7 საათზე თეატრის შენობაში).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (ზამთრის და ზაფხულის), **ისანი** (ზამთრის) — ცხოვრებისაკენ; **ოქტომბერი, თბილისი**—ამბავი ახალ გმირებზე; **26 კომისრის სახელობის** (ზაფხულის), **ფილარმონიის** (ზაფხულის)—სიმღერები ქუჩებში; **კოლხიდა** (ზამთრის)—ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება, (ზაფხულის) — ცეკვის მასწავლებელი; **დიდუბე** (ზამთრის)—სპორტული ღირსება, (ზაფხულის)—უხვი ზაფხული; **ოფიცერთა სახლის საზაფხულო პარკში** — ცოცხალი ლეში I და II სერია; **ისანი** (ზაფხულის)—ბალერინას ბედი.


[რედა]ქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-81-84, სოფლის მეურნეობისა და პროპაგანდის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ინფორმაციისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების—3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

[...]იას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05369